# საქართველოს კანონი

## მიკრობანკების საქმიანობის შესახებ
## თავი I. ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ამ კანონის მიზანია საქართველოში მოქმედი მიკრობანკების საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგება, მათი განვითარებისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნა და ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა.

2. მიკრობანკი ვალდებულია თავის საფირმო სახელწოდებასა და სახელშეკრულებო ურთიერთობებში, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აღნიშვნის გარდა, გამოიყენოს ტერმინი „მიკრობანკი“.

3. ნებადართულია, მიკრობანკმა თავის სახელწოდებად გამოიყენოს ტერმინი „ბანკი“, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადმინისტრატორი – მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, დირექტორატის წევრი ან/და სხვა პირი, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ აქვს მიკრობანკის საქმიანობის დაგეგმვის, მართვის ან/და კონტროლის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა. აღნიშნულ პირთა პოზიციების ჩამონათვალს ამტკიცებს მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭო;

ბ) მიკრობანკი – სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საბანკო საქმიანობას;

გ) მიკრობანკთან დაკავშირებული პირი – ადმინისტრატორი, აქციონერი, მასთან ნათესაური კავშირის მქონე პირი, რომელიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, I რიგის ან II რიგის კანონით მემკვიდრეა, ან მასთან საქმიანი ინტერესებით დაკავშირებული პირი;

დ) ბენეფიციარი მესაკუთრე – პირი, რომელიც კანონის ან გარიგების საფუძველზე იღებს ფულად ან სხვა სარგებელს და რომელსაც ამ სარგებლის სხვა პირისთვის გადაცემის ვალდებულება არ აკისრია, ხოლო თუ ბენეფიციარი მესაკუთრე არის არასამეწარმეო (არაკომერციული) მიზნებისთვის შექმნილი იურიდიული პირი ან მესაკუთრე იურიდიულ პირს არ ჰყავს მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრე პირი – მისი მმართველი ორგანოს წევრი;

ე) ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფი – პარტნიორების (აქციონერების) ჯგუფი, რომლებსაც აქვთ ახლონათესაური კავშირი, პარტნიორები (აქციონერები), რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, გარდა მიკრობანკისა, სხვა კომერციული ინტერესებით, პარტნიორები (აქციონერები), რომელთა შორისაც არსებობს მიკრობანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ აშკარა ან ფარული შეთანხმება ნებისმიერი ფორმით;

ვ) მიკრობანკის საქმიანობა – ამ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული საქმიანობები;

ზ) ფინანსური ინსტიტუტი – „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფინანსური ინსტიტუტი;

თ) შვილობილი საწარმო (შვილობილი ორგანიზაცია) – იურიდიული პირი ან იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელსაც სათავო საწარმო (სათავო ორგანიზაცია) აკონტროლებს;

ი) სათავო საწარმო (სათავო ორგანიზაცია) – იურიდიული პირი, რომელსაც აქვს ერთი ან ერთზე მეტი შვილობილი საწარმო (შვილობილი ორგანიზაცია);

კ) კონტროლი – საწარმოს ხმის უფლების მქონე აქციების/წილის 50 პროცენტის ან 50 პროცენტზე მეტის პირდაპირი ან არაპირდაპირი ფლობა ან/და საწარმოსთან დადებული ხელშეკრულების, მისი წესდების ან/და სხვა აქციონერებთან ან პარტნიორებთან დადებული შეთანხმების საფუძველზე მინიჭებული საწარმოს საქმიანობის მართვის უფლებამოსილება, რომელიც მაკონტროლებელ პირს აძლევს ეკონომიკური სარგებლის მიღებისა და მის ოდენობაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას, მათ შორის, ადმინისტრატორთა უმრავლესობის დანიშვნის ან გათავისუფლების უფლებამოსილებას;

ლ) მაკონტროლებელი პირი – კონტროლის განმახორციელებელი პირი;

მ) მონათესავე საწარმო – იურიდიული პირის კონტროლისადმი დაქვემდებარებული საწარმო, აგრეთვე მისი მაკონტროლებელი პირები და მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საწარმოები;

ნ) პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც იურიდიული პირი არ არის;

ო) მნიშვნელოვანი წილი – პირის ან ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფის პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელობაში არსებული მიკრობანკის განაღდებული კაპიტალის ან ნებადართული კაპიტალის ან/და ხმის უფლების მქონე აქციების 10 პროცენტზე მეტი წილი ან/და პირის ან ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფის მიერ მიკრობანკზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა ან/და კონტროლი, მიუხედავად კაპიტალში ან/და ხმის უფლების მქონე აქციებში წილის ოდენობისა;

პ) მნიშვნელოვანი გავლენა – საწარმოს ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება, რომელიც არ არის ამ პოლიტიკის კონტროლი ან ერთობლივი კონტროლი;

ჟ) არაპირდაპირი მონაწილეობა (ფლობა) – იურიდიული პირის კაპიტალში წილის ფლობა შესაბამისი მესამე პირის მეშვეობით;

რ) საზედამხედველო კაპიტალი – კაპიტალის სახეობა, რომელიც იქმნება მიკრობანკის საქმიანობის განსახორციელებლად, მოსალოდნელი თუ მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების/ზარალის გასანეიტრალებლად და სხვადასხვა სახის რისკისგან დასაცავად;

ს) სააქციო კაპიტალი – მიკრობანკის აქციონერთა კაპიტალი, რომელიც არის მიკრობანკის მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის სხვაობა;

ტ) ნებადართული კაპიტალი – სააქციო საზოგადოების აქციონერთა მიერ დათქმული და მისი წესდებით გათვალისწინებული კაპიტალი;

უ) განაღდებული კაპიტალი – ნებადართული კაპიტალის ფულადი ფორმით შევსებული ნაწილი;

ფ) ახლო ნათესავი – „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ახლო ნათესავი.

2. ამ კანონში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

**მუხლი 3. მიკრობანკის საქმიანობა**

1. მიკრობანკის ბიზნესმოდელი ეფუძნება სამეწარმეო საქმიანობიდან (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან) შემოსავლის მიმღები პირების დაკრედიტებას. კერძოდ, მიკრობანკის საკრედიტო პორტფელის არანაკლებ 70 პროცენტისა უნდა შედგებოდეს სამეწარმეო მიზნით გაცემული სესხებისგან ან/და იმ სესხებისგან, რომელთა დაფარვის წყაროც სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალია.

2. ამ კანონის მიზნებისთვის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი სესხების დაფარვის წყაროდ მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ ეს შემოსავალი მსესხებლის ჯამური შემოსავლის 50 პროცენტზე მეტია.

3. მიკრობანკი უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ შემდეგი საბანკო საქმიანობები:

ა) სესხების, გარანტიების, აკრედიტივებისა და ლიზინგის გაცემა, ფაქტორინგული ოპერაციების განხორციელება ამ კანონით დადგენილი ლიმიტის ფარგლებში;

ბ) პროცენტიანი და უპროცენტო მოთხოვნამდე და ვადიანი დეპოზიტების მოზიდვა მხოლოდ „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ზღვრის ფარგლებში და ზღვრის ზემოთ, მიმდინარე ანგარიშების მომსახურება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაცვით, სხვა დაბრუნებადი ფულადი სახსრების მოზიდვა პირებისგან, მათ შორის, ფიზიკური პირებისგან (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმისგან), ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად;

გ) საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნა და მომსახურება;

დ) ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების განხორციელება და საკასო-საინკასაციო მომსახურების გაწევა;

ე) საგადახდო ბარათების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება;

ვ) საგადახდო მომსახურების გაწევა, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება;

ზ) უპროცენტო საბანკო მომსახურების გაწევა;

თ) დერივატივის დადება, საკუთარი სახსრებით ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული საქმიანობის განხორციელება საბროკერო საქმიანობის ლიცენზიას საჭიროებს;

ი) საკუთარი და თავის კლიენტთა სახსრებით უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა;

კ) ფასეულობათა შენახვა;

ლ) ქონების იჯარით გაცემა მხოლოდ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად;

მ) ამ მუხლით გათვალისწინებულ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებების გაწევა;

ნ) „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად სხვა პირის სასარგებლოდ ვირტუალური აქტივის მომსახურების გაწევა, კერძოდ, კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ურთიერთგადაცვლა (მათ შორის, თვითმომსახურების კიოსკის მეშვეობით) ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში სხვა ვირტუალურ აქტივში ან ფინანსურ ინსტრუმენტში, გადაცემა ან/და კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ან მისი გამოყენებისთვის საჭირო ინსტრუმენტის შენახვა, რაც ვირტუალური აქტივის კონტროლის საშუალებას იძლევა, და აღნიშნული მომსახურების გაწევისთვის აუცილებელი დამხმარე საქმიანობა.

4. მიკრობანკმა სესხი მხოლოდ ეროვნული ვალუტით უნდა გასცეს.

5. მიკრობანკი უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობების გარდა, საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობით დამატებით განახორციელოს საბროკერო კომპანიისთვის ნებადართული საქმიანობა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ამ პუნქტით გათვალისწინებული თანხმობის გაცემისა და გაუქმების წესსა და პირობებს ნორმატიული აქტით ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი.

6. მიკრობანკის მიერ ფიზიკური პირებისგან (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმისგან) დაბრუნებადი ფულადი სახსრების მოზიდვის შემთხვევაში თითოეული ფიზიკური პირისგან (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმისგან) მოზიდული ფულადი სახსრების ოდენობა არ უნდა იყოს 100 000 (ასი ათას) ლარზე ან უცხოური ვალუტით მის ეკვივალენტზე ნაკლები. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებასა და მიკრობანკის აქციონერის/დამფუძნებლის მიერ მიკრობანკზე სესხის გაცემაზე ან მის კაპიტალში შენატანის განხორციელებაზე. 100 000 (ასი ათას) ლარზე მეტი ოდენობის დაბრუნებადი ფულადი სახსრების მოზიდვა შესაძლებელია მხოლოდ საზედამხედველო კაპიტალთან შეფარდებით, შესაბამისი ზღვრის ფარგლებში, რომელიც განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით.

## თავი II. მიკრობანკის ლიცენზირება

### მუხლი 4. სალიცენზიო მოთხოვნები

1. საქართველოს ეროვნული ბანკი მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიას გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მისი განაღდებული კაპიტალის ოდენობა შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) ადმინისტრატორი აკმაყოფილებს ამ კანონითა და ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

გ) მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერი აკმაყოფილებს ამ კანონითა და საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

დ) მისი ჯგუფის სტრუქტურა, მფლობელობის სტრუქტურა, მმართველობის სტრუქტურა და საოპერაციო საქმიანობა/გარემო არის გამჭვირვალე, შეესაბამება სათანადო კორპორაციული მართვის სტანდარტებს, იძლევა ეფექტიანი ინდივიდუალური ან კონსოლიდირებული ზედამხედველობის განხორციელების შესაძლებლობას და საფრთხეს არ უქმნის მიკრობანკის ან/და ფინანსური სექტორის სტაბილურობასა და ჯანსაღ ფუნქციონირებას. თუ ამ პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე ფიზიკური პირი ან/და იურიდიული პირი სხვა ქვეყნის იურისდიქციას ექვემდებარება, საქართველოს ეროვნული ბანკი ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმის შეფასებისას ითვალისწინებს აგრეთვე ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელებაზე აღნიშნული ქვეყნის კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პროცედურების გავლენას;

ე) ბიზნესგეგმის ადეკვატურობისა და განხორციელებადობის, აგრეთვე საბანკო სექტორში მისი პოტენციური პოზიციის გათვალისწინებით მას ექნება მდგრადი ფუნქციონირების შესაძლებლობა;

ვ) მისი სათავო ოფისი (ადგილი, სადაც მიკრობანკის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების უმრავლესობა მიიღება) საქართველოს ტერიტორიაზეა და მის მიერ საბანკო საქმიანობის განსახორციელებლად დაკავებული ფართობი აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული

ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

2. საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება მიკრობანკის ლიცენზირების წესი და პირობები, მათ შორის, დამატებით წარსადგენი ინფორმაცია.

## მუხლი 5. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად წერილობითი მიმართვის წარდგენა

1. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად ამ ლიცენზიის მაძიებლის სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერების მიერ უფლებამოსილი პირი საქართველოს ეროვნულ ბანკს წერილობით მიმართვას წარუდგენს.

2. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად წარდგენილ წერილობით მიმართვას უნდა დაერთოს ამ ლიცენზიის მაძიებლის შესახებ შემდეგი დოკუმენტაცია და ინფორმაცია:

ა) სადამფუძნებლო დოკუმენტები;

ბ) კომერციული ბანკის ცნობა ნებადართული კაპიტალისა და განაღდებული კაპიტალის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია, რომელიც მოიცავს მონაცემებს ნებადართული კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის საკუთრებისა და წარმოშობის თაობაზე. უცხოური ბანკის/მიკრობანკის ფილიალი ან შვილობილი მიკრობანკი წარადგენს ინფორმაციას სათავო ბანკის/მიკრობანკის მიერ მისთვის გამოყოფილი რესურსის ოდენობის შესახებ;

გ) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის შევსების დამადასტურებელი საბანკო ამონაწერი;

დ) მისი ადმინისტრატორებისა და მმართველი ორგანოების (დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს) ამ კანონითა და საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ინდივიდუალური და ერთობლივი შესაფერისობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ინფორმაცია;

ე) „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი);

ვ) მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის ჯგუფის სტრუქტურის/მფლობელობის სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტითა და ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია/დოკუმენტაცია მნიშვნელოვანი წილის მფლობელი როგორც აქციონერის, ისე შუალედური მფლობელისა და ბენეფიციარი მესაკუთრის თაობაზე, ხოლო ასეთი მესაკუთრის არარსებობის შემთხვევაში – 20 უმსხვილესი აქციონერის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია და მათ მფლობელობაში არსებული წილების/აქციების ოდენობისა და ტიპის შესახებ ინფორმაცია;

ზ) (ამოღებულია - 15.12.2023, №4018);

თ) მისი სამეთვალყურეო საბჭოს, მათ შორის, აუდიტის კომიტეტის, და დირექტორატის შესახებ ინფორმაცია, ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად;

ი) მისი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტაცია, მათ შორის, ბიზნესგეგმა, ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად;

კ) ინფორმაცია წარსული საქმიანობის შესახებ, საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი სამართლებრივი აქტის თანახმად;

ლ) უცხოური მიკრობანკის ფილიალის ან შვილობილი მიკრობანკის ლიცენზირების შემთხვევაში – დამატებითი ინფორმაცია, ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად;

მ) იმ უძრავი ქონებით სარგებლობის ან მასზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სადაც განთავსდება მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მაძიებელი ან მისი ფილიალი;

ნ) ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი დასაბუთებულად მოითხოვს კონკრეტულ შემთხვევაში, მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის სალიცენზიო მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად.

3. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად წარდგენილი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის ჯგუფის სტრუქტურის/მფლობელობის სტრუქტურის შესახებ ინფორმაციას (მონაცემებს), აგრეთვე მნიშვნელოვანი წილის მფლობელი როგორც აქციონერის, ისე შუალედური მფლობელისა და ბენეფიციარი მესაკუთრის თაობაზე შემდეგ ინფორმაციას/დოკუმენტაციას:

ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში:

ა.ა) პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს;

ა.ბ) მოქალაქეობისა და რეზიდენტობის შესახებ ინფორმაციას;

ა.გ) დეტალურ ავტობიოგრაფიას;

ა.დ) საქართველოს ტერიტორიაზე ფინანსურ ინსტიტუტებში ამჟამად ან წარსულში არსებული წილების ოდენობისა და სხვა ბიზნესინტერესების შესახებ ინფორმაციას;

ა.ე) ნასამართლობის შესახებ ცნობას ყველა იმ ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოდან, რომლის რეზიდენტიც იყო ეს პირი ბოლო 10 წლის განმავლობაში;

ა.ვ) ფინანსური მდგომარეობის, შემოსავლის წყაროსა და წარმომავლობის შესახებ ინფორმაციას (მონაცემებს);

ა.ზ) შემოსავლების შესახებ საგადასახადო დეკლარაციას;

ბ) იურიდიული პირის შემთხვევაში:

ბ.ა) სარეგისტრაციო დოკუმენტებს;

ბ.ბ) აუდიტორის მიერ აუდიტირებულ უახლესი პერიოდის (კვარტალის) ფინანსურ ანგარიშგებას. თუ იურიდიული პირი საქართველოს ეროვნულ ბანკს მიმართავს დაფუძნებიდან არაუგვიანეს 6 თვისა, იგი წარადგენს მხოლოდ არააუდიტირებულ მიმდინარე ბალანსსა და შესაბამის შენიშვნებს;

ბ.გ) იურიდიული პირისა და მისი ადმინისტრატორების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის/ნასამართლობის შესახებ ცნობებს ყველა იმ ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოდან, რომლის რეზიდენტებიც იყვნენ ეს პირები ბოლო 10 წლის განმავლობაში.

4. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის სამეთვალყურეო საბჭოს, მათ შორის, აუდიტის კომიტეტის, და დირექტორატის შესახებ ინფორმაცია უნდა მოიცავდეს საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ინფორმაციას.

5. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

ა) ორგანიზაციულ სტრუქტურასა და დირექტორატის წევრთა სამუშაოს აღწერილობას;

ბ) კორპორაციული მართვის პრინციპებს;

გ) საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების და სხვა შესაბამისი რისკების მართვის ჩარჩოს;

დ) კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების მოდელს;

ე) კაპიტალის ადეკვატურობის გაანგარიშებას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ბიზნესგეგმით გათვალისწინებულ საბიუჯეტო გეგმაზე დაყრდნობით;

ვ) სააღრიცხვო პოლიტიკას;

ზ) ბიზნესგეგმას. იგი უნდა შეესაბამებოდეს დაგეგმილ საქმიანობას და შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას:

ზ.ა) ბიზნესსტრატეგიას;

ზ.ბ) ბიზნესსტრატეგიაზე ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის პოტენციური გავლენის შესახებ ინფორმაციას;

ზ.გ) მიზნობრივი ბაზრის აღწერას და საკუთარი კონკურენტუნარიანობის შეფასებას;

ზ.დ) საბიუჯეტო გეგმასა და ფინანსური მაჩვენებლების პროგნოზს, მათ შორის, სტრესული სცენარების გათვალისწინებით, მომდევნო 3 წლისთვის;

ზ.ე) ბიზნესსა და მარეგულირებელ ნორმებთან დაკავშირებულ რისკფაქტორებს;

ზ.ვ) საწყის ეტაპზე დასანერგი საინფორმაციო ტექნოლოგიების მინიმუმს და მათი მომდევნო საოპერაციო პერიოდში დანერგვის გეგმას.

6. უცხოური ბანკის/მიკრობანკის ფილიალის ან შვილობილი მიკრობანკის ლიცენზირების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

ა) სათავო ბანკის/მიკრობანკის ბოლო 3 წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებასა და მოგება-ზარალის თაობაზე ანგარიშგებას;

ბ) სათავო ბანკის/მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებას მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წერილობითი მიმართვის წარდგენის შესახებ;

გ) სათავო ბანკის/მიკრობანკის საზედამხედველო ორგანოს დასტურს საქართველოში ფილიალის/შვილობილი მიკრობანკის გახსნაზე.

7. მიკრობანკი, აგრეთვე მისი მნიშვნელოვანი წილის მფლობელი როგორც აქციონერი, ისე შუალედური მფლობელი და ბენეფიციარი მესაკუთრე ვალდებული არიან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინონ მას ამ მუხლით განსაზღვრული შესაბამისი განახლებული ინფორმაცია.

8. მიკრობანკი ვალდებულია სადამფუძნებლო სტრუქტურის ისეთი ცვლილების შესახებ, რომელმაც შესაძლებელია მიკრობანკის აქციონერების ან/და ადმინისტრატორების შესაფერისობაზე, აგრეთვე მიკრობანკის ლიცენზირების სხვა პირობებთან/კრიტერიუმებთან შესაბამისობაზე გარკვეული გავლენა მოახდინოს, წინასწარ შეატყობინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

9. ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს დედნების ან მათი სანოტარო წესით დამოწმებული ასლების სახით. უცხო ქვეყანაში გაცემული დოკუმენტები აგრეთვე აპოსტილით დამოწმებული ან/და ლეგალიზებული უნდა იყოს. ამასთანავე, წარდგენილი უნდა იქნეს აღნიშნული დოკუმენტების სათანადოდ დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

10. არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში, თუ შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ცნობის გაცემას არ ითვალისწინებს, საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა წარედგინოს ამის დამადასტურებელი, უფლებამოსილი უწყების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი.

*საქართველოს 2023 წლის 15 დეკემბრის კანონი №4018 - ვებგვერდი, 28.12.2023წ.*

## მუხლი 6. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება

1. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკი.

2. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია გაიცემა განუსაზღვრელი ვადით. მისი სხვისთვის გადაცემა აკრძალულია.

3. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საქართველოს ეროვნული ბანკი შეისწავლის წარდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სალიცენზიო მოთხოვნებთან შესაბამისობას. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად წარდგენილი წერილობითი მიმართვის მიღებამდე ამ ლიცენზიის მაძიებელთან შესაბამისი კონსულტაციები გამართოს.

4. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად წერილობითი მიმართვის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში საქართველოს ეროვნული ბანკი ამოწმებს წარდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის ამ კანონის მე-4 და მე-5 მუხლებით განსაზღვრულ და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან ფორმალურ შესაბამისობას. თუ მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მაძიებელი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ინფორმაციას/დოკუმენტაციას სრულყოფილად არ წარადგენს, საქართველოს ეროვნული ბანკი ლიცენზიის მაძიებელს უდგენს ხარვეზს და მის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს ვადას არაუმეტეს 15 სამუშაო დღისა. ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული ვადის გაშვების შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი ლიცენზიის მაძიებელს ლიცენზიის გაცემაზე უარს ეუბნება. ლიცენზიის მაძიებლის მიერ სრულყოფილი წერილობითი მიმართვის წარდგენის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი გასცემს წერილობით დასტურს მისი მიღების შესახებ და მიუთითებს მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადას.

5. საქართველოს ეროვნული ბანკი მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად წარდგენილ ინფორმაციას/დოკუმენტაციას განიხილავს სრულყოფილი წერილობითი მიმართვის მიღების შესახებ დასტურის გაცემიდან 6 თვის ვადაში. მისი განხილვის პერიოდში საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის სალიცენზიო მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მოითხოვოს ნებისმიერი სხვა, დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად. დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის მოთხოვნის შემთხვევაში ჩერდება ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება და განისაზღვრება ვადა დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარსადგენად (მათ შორის, რამდენჯერმე). ლიცენზიის მაძიებლის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა არის ვადის დინების განახლების საფუძველი, ხოლო მისი განსაზღვრულ ვადაში წარუდგენლობა – ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი. საქართველოს ეროვნული ბანკი აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის განხილვის შედეგად დაინტერესებულ პირს წერილობით აცნობებს ლიცენზიის გაცემაზე თანხმობას, ხოლო თუ ლიცენზიის მაძიებელი ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სალიცენზიო მოთხოვნებს – დასაბუთებულ უარს.

6. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა 12 თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

7. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გასცეს მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია და

მიკრობანკს კონკრეტული ვადით ან უვადოდ დაუწესოს შეზღუდვები გარკვეული სახის ნებადართული საქმიანობის განხორციელებაზე.

### მუხლი 7. ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმები

1. ადმინისტრატორი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ შესაფერისობის კრიტერიუმებს:

ა) კარგი რეპუტაცია, სანდოობა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, რაც, მათ შორის, გულისხმობს, რომ ადმინისტრატორი არ უნდა იყოს ნასამართლევი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის, ტერორიზმის დაფინანსებისთვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისთვის;

ბ) მიკრობანკის საქმიანობის წარმართვისთვის აუცილებელი, სათანადო ცოდნა, უნარი და გამოცდილება;

გ) განსჯის დამოუკიდებლობა – ადმინისტრატორს უნდა ჰქონდეს უნარი, გადაწყვეტილება მიიღოს დამოუკიდებელი და ობიექტური განსჯის საფუძველზე, შეაფასოს მმართველი ორგანოების სხვა წევრთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი;

დ) საკუთარი მოვალეობების ჯეროვნად შესასრულებლად საკმარისი დრო;

ე) პარალელურად დაკავებული პოზიციების რაოდენობა – ადმინისტრატორი არ უნდა იყოს საქართველოში ლიცენზირებული/რეგისტრირებული სხვა მიკრობანკის, კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ან/და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის ადმინისტრატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული სუბიექტი/სუბიექტები ექვემდებარება /ექვემდებარებიან იმ მიკრობანკის კონტროლს ან არის/არიან იმ მიკრობანკის მაკონტროლებელი სუბიექტი/სუბიექტები, რომელშიც მას ადმინისტრატორის პოზიცია უკავია. ადმინისტრატორი არ უნდა იყოს 5-ზე მეტი საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს ან/და დირექტორატის წევრი. ამასთანავე, 1 აღმასრულებელი პოზიცია თავსებადია 2 არააღმასრულებელ პოზიციასთან ან დასაშვებია 5 არააღმასრულებელი პოზიციის დაკავება. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში დაკავებული პოზიციები არ გაითვალისწინება. ამავე ქვეპუნქტის მიზნებისთვის 1 პოზიციად მიიჩნევა:

ე.ა) ერთ ჯგუფში დაკავებული პოზიციები. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის ჯგუფი გულისხმობს მიკრობანკს, მის სათავო საწარმოს და შვილობილ საწარმოს/საწარმოებს;

ე.ბ) იმ საწარმოში/საწარმოებში დაკავებული პოზიციები, რომლის/რომელთა მნიშვნელოვან წილსაც ფლობს მიკრობანკი.

2. ადმინისტრატორის შესაფერისობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ეროვნული ბანკი. შესაფერისობის კრიტერიუმების შეფასებისას იგი ხელმძღვანელობს პროპორციულობის პრინციპით, რომელიც გულისხმობს ამ კრიტერიუმების მიკრობანკის ზომის, ორგანიზაციული სტრუქტურის, რისკის პროფილისა და კომპლექსურობის მიხედვით შეფასებას. პროპორციულობის პრინციპი არ გამოიყენება ისეთი კრიტერიუმის შეფასებისას, როგორიცაა კარგი რეპუტაცია, სანდოობა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება. პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად განისაზღვრება შეფასების ინტენსივობის ხარისხი, შეფასების პროცედურა და წარსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტაციის შინაარსი.

3. ადმინისტრატორთა შესაფერისობის შეფასება გულისხმობს როგორც მათი ინდივიდუალური შესაფერისობის, ისე მიკრობანკის დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს ერთობლივი შესაფერისობის შეფასებას.

4. ადმინისტრატორთა შესაფერისობის შეფასებისას გაითვალისწინება მრავალფეროვნების პოლიტიკა. ეს პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს სულ მცირე შემდეგ ფაქტორებს: განათლება, პროფესიული გამოცდილება, ასაკი, სქესი.

5. მიკრობანკი ვალდებულია ადმინისტრატორის დანიშვნამდე საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ინფორმაცია/დოკუმენტაცია და არ დანიშნოს პირი ადმინისტრატორად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ადმინისტრატორის შესაფერისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, ხოლო დანიშნული პირის აღნიშნულ შესაფერისობის კრიტერიუმებთან შეუსაბამობის შემთხვევაში გაათავისუფლოს იგი თანამდებობიდან.

6. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევებში ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ინფორმაციის/დოკუმენტაციის სრულყოფილად წარდგენის გარეშე გასცეს პირობითი თანხმობა ადმინისტრატორის დანიშვნაზე და განსაზღვროს ინფორმაციის/დოკუმენტაციის სრულყოფილად წარდგენის ვადა არაუმეტეს 6 თვისა. ამ ვადაში ინფორმაციის/დოკუმენტაციის სრულყოფილად წარუდგენლობის შემთხვევაში ადმინისტრატორის დანიშვნაზე გაცემული პირობითი თანხმობა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ვადის ამოწურვის მომენტიდან ავტომატურად გაუქმდება.

7. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით განმარტოს ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმების შინაარსი, განსაზღვროს შეფასების წესი და პროცედურა, მათ შორის, მიკრობანკის დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს ერთობლივ შესაფერისობასთან დაკავშირებული საკითხები და წარსადგენი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

## მუხლი 8. ლიცენზირების პროცედურების გამარტივების განსაკუთრებული შემთხვევები

1. უცხოური ბანკის შვილობილი კომპანიის ლიცენზირება შეიძლება გამარტივებული წესით განხორციელდეს, თუ მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მაძიებელი არის „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იმ განსაკუთრებულად სანდო ბანკის შვილობილი კომპანია, რომელსაც აქვს ცნობადობის მაღალი დონე, კარგი რეპუტაცია, მაღალი საკრედიტო რეიტინგი, ფინანსურ სექტორში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება, მდგრადი ფინანსური მაჩვენებლები და გამჭვირვალობის მაღალი დონე.

2. საქართველოს ეროვნული ბანკი სანდო უცხოური ბანკის საქართველოს ბაზარზე შემოსვლის ხელშეწყობის მიზნით ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უცხოური ბანკის შვილობილ კომპანიას ინდივიდუალურად განუსაზღვრავს მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტაციის ჩამონათვალს.

## მუხლი 9. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება

საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მიკრობანკს გაუუქმოს მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია. მისი გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) მიკრობანკის წერილობითი მიმართვა მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების თაობაზე;

ბ) მიკრობანკის მიერ ამ კანონის მე-3 და 26-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევა;

გ) მიკრობანკის მიერ მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად ყალბი ან/და არასწორი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა;

დ) მიკრობანკის მიერ მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღების დღიდან 12 თვის განმავლობაში ამ საქმიანობის განუხორციელებლობა, ხოლო მოქმედი მიკრობანკის შემთხვევაში – მის მიერ აღნიშნული საქმიანობის 6 თვეზე მეტი ხნით შეწყვეტა;

ე) მიკრობანკის მიერ მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად წარდგენილი ბიზნესგეგმიდან

და ბიზნესსტრატეგიიდან მნიშვნელოვანი გადახვევა საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეუთანხმებლად;

ვ) მიკრობანკის სხვა მიკრობანკთან ან კომერციულ ბანკთან შერწყმა (მიერთება) ან გამოყოფა;

ზ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფულადი სახსრებით ფორმირებული საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის არარსებობა, ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით მიკრობანკის კრედიტორთა ნდობის დაკარგვა ან მინდობილი აქტივების უსაფრთხოების უზრუნველყოფის შეუძლებლობა;

თ) მიკრობანკის რისკების მართვის სუსტი მოდელი, მისი ფინანსური მდგომარეობისთვის საფრთხის შემქმნელი ან არაჯანსაღი სამეწარმეო პრაქტიკა, რომელმაც შეიძლება მიკრობანკის დეპოზიტარებს ან/და ფინანსური სექტორის სტაბილურობას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ან საფრთხე შეუქმნას;

ი) მიკრობანკის არსებული ან მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, რომლებიც შეიძლება გამოიხატოს მოგებიანობის დაბალი მაჩვენებლებითა და საზედამხედველო კოეფიციენტების დარღვევით ან სხვაგვარად;

კ) მიკრობანკის არსებული ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა;

ლ) მიკრობანკის ჯგუფის/მფლობელობის სტრუქტურის სირთულე ან/და გაუმჭვირვალობა ან ამ სტრუქტურის ისეთი ცვლილება, რომელიც აფერხებს ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელებას, საფრთხეს უქმნის ფინანსური სექტორის სტაბილურობასა და ჯანსაღ ფუნქციონირებას;

მ) სასამართლოს გადაწყვეტილება მიკრობანკისთვის მიკრობანკის საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ;

ნ) ადმინისტრატორის, მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაფერისობის კრიტერიუმთან/კრიტერიუმებთან შეუსაბამობა;

ო) დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის უშედეგოდ დასრულება;

პ) უცხოური ბანკის/მიკრობანკის ფილიალის სათავო დაწესებულებისთვის სათავო დაწესებულების ადგილსამყოფელ ქვეყანაში ბანკის/მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის ჩამორთმევა ან ისეთი შემთხვევა, როდესაც, საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით, უცხოური ბანკი/მიკრობანკი არ ასრულებს უცხოური ბანკის/მიკრობანკის ფილიალის მიმართ დადგენილ მოთხოვნებს, ამასთანავე, ამ ქვეყანაში არ იწყება ან გონივრულ ვადაში არ დაიწყება გადახდისუუნარობის ან გაკოტრების საქმის წარმოება, აღნიშნულ ქვეყანაში გადახდისუუნარობის ან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება საქართველოში ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობისთვის საკმარისი არ იქნება ან მითითებულ ქვეყანაში გადახდისუუნარობის ან გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში საქართველოში არსებული უცხოური ბანკის/მიკრობანკის ფილიალის კრედიტორთა ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა უზრუნველყოფილი არ იქნება.

**მუხლი 10. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნება და მისი შედეგები**

1. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე. ეს გადაწყვეტილება ძალაში შედის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების დღიდან ან ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრული სხვა თარიღიდან.

2. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებისთანავე სავალდებულოა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიკრობანკის ლიცენზიის მფლობელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დაწყება, გარდა ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან იურიდიულ პირს ეკრძალება ამ ლიცენზიით განსაზღვრული ყოველგვარი საქმიანობის განხორციელება. იურიდიულმა პირმა მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან უმოკლეს ვადაში უნდა შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა ვალდებულება. ამ ვალდებულებების შესრულებამდე იურიდიული პირი ლიცენზირებული მიკრობანკის მსგავსად ემორჩილება მიკრობანკების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

4. მიკრობანკის გადახდისუუნარობისა და გაკოტრების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკი თავის მიერ დადგენილი წესით.

## თავი III. მნიშვნელოვანი წილის შეძენა

### მუხლი 11. ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენისა და შეტყობინების ვალდებულება

1. პირი ან ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფი (შემდგომ – განმცხადებელი), რომელიც აპირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ შეიძინოს მიკრობანკის იმ ოდენობის წილი, რომლის შეძენის შედეგად მიკრობანკის კაპიტალში მისი პირდაპირი/არაპირდაპირი მონაწილეობა 10, 20, 30 ან 50 პროცენტს გადააჭარბებს, ან/და რომელიც მიკრობანკზე მნიშვნელოვან გავლენას ან კონტროლს მოიპოვებს, მიუხედავად კაპიტალში ან/და ხმის უფლების მქონე აქციებში წილის ოდენობისა, ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს პირადად ან წარმომადგენლის ან მიკრობანკის მეშვეობით წარუდგინოს მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ინფორმაცია/დოკუმენტაცია. ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფის შემთხვევაში მნიშვნელოვანი წილის შეძენის/ცვლილების დასადგენად გაითვალისწინება ამ ჯგუფის მფლობელობაში არსებული წილების ჯამური ოდენობა.

2. განმცხადებლის მიერ წინასწარი განზრახვის გარეშე მნიშვნელოვანი წილის შეძენის შემთხვევაში იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, აღნიშნული ფაქტის შეტყობისთანავე წარუდგინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მნიშვნელოვანი წილის მფლობელის შესაფერისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე განმცხადებელმა არ უნდა გამოიყენოს მნიშვნელოვანი წილის ფლობასთან დაკავშირებული ხმის უფლებები და სხვა უფლებამოსილებები. განმცხადებლის მიერ წინასწარი განზრახვის გარეშე მნიშვნელოვანი წილის შეძენის შემთხვევაში მას ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულება ეკისრება მიუხედავად იმისა, გეგმავს თუ არა იგი იმ ოდენობის წილის გასხვისებას, რომლის გასხვისების შედეგად მის მფლობელობაში არსებული წილი ზღვრულ ოდენობას დაუბრუნდება.

3. მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საქართველოს ეროვნული ბანკი შეისწავლის წარდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობას და ითვალისწინებს შემდეგ შესაფერისობის კრიტერიუმებს:

ა) განმცხადებლის რეპუტაციას, რომელიც მოიცავს მის სანდოობასა და სათანადო კომპეტენციას;

ბ) განმცხადებლის მიერ ადმინისტრატორად შერჩეული პირის (თუ განმცხადებელს აქვს ადმინისტრატორის შერჩევის უფლებამოსილება) ამ კანონითა და ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას;

გ) განმცხადებლის ფინანსურ სიმყარეს;

დ) განმცხადებლის მიერ წილის შეძენის შემდეგ მიკრობანკის პრუდენციულ საზედამხედველო მოთხოვნებთან შესაბამისობას;

ე) განმცხადებელთან/ოპერაციასთან (ტრანზაქციასთან) დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და

ტერორიზმის დაფინანსების რისკების არარსებობას.

4. პირს ეკრძალება, იყოს მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერი, თუ იგი ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის, ტერორიზმის დაფინანსებისთვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისთვის.

5. საქართველოს ეროვნული ბანკი განმცხადებლის შესაფერისობის შეფასებისას ხელმძღვანელობს პროპორციულობის პრინციპით, რომელიც გულისხმობს შეფასების კრიტერიუმების მიკრობანკის ზომის, ორგანიზაციული სტრუქტურის, რისკის პროფილისა და კომპლექსურობის, წილის ოდენობის, წილის შემძენის სახის (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, მიკრობანკის პირდაპირი/არაპირდაპირი მფლობელი/შემძენი), წილის შეძენის მიზნისა და მიკრობანკზე შესაძლო ზეგავლენის მიხედვით შეფასებას. პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად განისაზღვრება შეფასების ინტენსივობის ხარისხი, შეფასების პროცედურა და წარსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტაციის შინაარსი. პროპორციულობის პრინციპი არ ვრცელდება განმცხადებლის რეპუტაციის შეფასების ფარგლებში მისი სანდოობის შეფასებაზე.

6. საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულება ეკისრება მნიშვნელოვანი წილის როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ შემძენს. დასაშვებია საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობით ბენეფიციარი მესაკუთრის მიერ ინფორმაციის/დოკუმენტაციის შუალედური მფლობელის სახელით წარდგენა.

7. თუ საქართველოს ეროვნულ ბანკს მიაჩნია, რომ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა, იგი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ამ კანონითა და მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ინფორმაციის/დოკუმენტაციის გარდა, მოითხოვოს ნებისმიერი სხვა ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალურის) წარდგენა.

8. მიკრობანკის პირდაპირი/არაპირდაპირი მფლობელი, რომელიც აპირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ გაყიდოს მიკრობანკის იმ ოდენობის წილი, რომლის გაყიდვის შედეგად მიკრობანკის კაპიტალში მისი წილი 10, 20, 30 ან 50 პროცენტს ჩამოსცდება, ვალდებულია ამის შესახებ წინასწარ შეატყობინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს. ეს შეტყობინება აღნიშნული ოპერაციის (ტრანზაქციის) თაობაზე მაქსიმალურად დეტალურ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს.

9. მიკრობანკი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს ეროვნულ ბანკს მნიშვნელოვანი წილის მფლობელის შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის ნებისმიერი ცვლილების შესახებ, მათ შორის, წილის ფლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების თაობაზე, რომელიც მისთვის არის ცნობილი.

10. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით განსაზღვროს მნიშვნელოვანი წილის მფლობელის შესაფერისობის კრიტერიუმების შინაარსი, შეფასების წესი და პროცედურა, მნიშვნელოვანი წილის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები და წარსადგენი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

**მუხლი 12. განმცხადებლის შესაფერისობის შეფასება**

1. განმცხადებლის მიერ ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში საქართველოს ეროვნული ბანკი ამოწმებს წარდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის ამ კანონითა და საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ფორმალურ შესაბამისობას. თუ განმცხადებელი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ინფორმაციას/დოკუმენტაციას სრულყოფილად არ წარადგენს, საქართველოს ეროვნული ბანკი განმცხადებელს უდგენს ხარვეზს და მის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს ვადას არაუმეტეს 15 სამუშაო დღისა. ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული ვადის გაშვების შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი განმცხადებელს მნიშვნელოვანი წილის შეძენაზე უარს ეუბნება. განმცხადებლის მიერ სრულყოფილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი გასცემს წერილობით დასტურს მისი მიღების შესახებ და მიუთითებს

შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების ვადას.

2. საქართველოს ეროვნული ბანკი წარდგენილ ინფორმაციას/დოკუმენტაციას განიხილავს სრულყოფილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიღების შესახებ წერილობითი დასტურის გაცემიდან 60 სამუშაო დღის ვადაში. მისი განხილვის პერიოდში საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში წერილობით მოითხოვოს ნებისმიერი სხვა, დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად. მას ასევე უფლება აქვს, აღნიშნული ინფორმაცია გადაამოწმოს ან უშუალოდ განმცხადებელთან დააზუსტოს. დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოთხოვნა დასაშვებია სრულყოფილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიღების შესახებ წერილობითი დასტურის გაცემიდან არაუგვიანეს 50-ე სამუშაო დღისა. ამ შემთხვევაში ინფორმაციის/დოკუმენტაციის განხილვის ვადის დინება ჩერდება დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენამდე, არაუმეტეს 20 სამუშაო დღისა, ხოლო თუ განმცხადებელი არარეზიდენტი პირია – არაუმეტეს 30 სამუშაო დღისა, რის შესახებაც განმცხადებელს ეცნობება. განმცხადებლის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა არის ვადის დინების განახლების საფუძველი, ხოლო მისი განსაზღვრულ ვადაში წარუდგენლობა – მნიშვნელოვანი წილის შეძენაზე უარის თქმის საფუძველი. საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, ხელახლა მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა ან ინფორმაციის დაზუსტება. ამ შემთხვევაში ინფორმაციის/დოკუმენტაციის განხილვის ვადის დინება აღარ შეჩერდება.

3. საქართველოს ეროვნული ბანკი განმცხადებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის განხილვის შედეგად მას შესაბამისი ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობას აძლევს, ხოლო თუ განმცხადებელი ვერ აკმაყოფილებს ამ კანონითა და საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შესაფერისობის მოთხოვნებს ან მას არ წარუდგენია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია – დასაბუთებულ უარს ეუბნება. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განმცხადებელს აღნიშნული ოპერაციის განხორციელებაზე უარი უთხრას „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4. მნიშვნელოვანი წილის შეძენის ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობა ან დასაბუთებული უარი განმცხადებელს უნდა ეცნობოს მისი შესაფერისობის შეფასების დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, შეფასების საერთო ვადის დაურღვევლად.

5. სრულყოფილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიღების შესახებ წერილობითი დასტურის გაცემიდან 60 სამუშაო დღის ვადაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განმცხადებლისთვის პასუხის გაუცემლობა ავტომატურად ნიშნავს შესაბამისი ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობის მიცემას. საჭიროების შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადა გააგრძელოს 90 სამუშაო დღემდე, რის შესახებაც განმცხადებელს ეცნობება ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე.

6. განმცხადებლის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარუდგენლობის ან საქართველოს ეროვნული ბანკისგან დასაბუთებული უარის მიღების მიუხედავად წილის შეძენის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შესაბამის პირს შეუჩეროს ხმის უფლება ან/და მოსთხოვოს მის საკუთრებაში არსებული წილის 10 პროცენტამდე შემცირება/მნიშვნელოვანი გავლენის/კონტროლის გაუქმება, ასევე მოსთხოვოს მიკრობანკს ამ პირის მიერ წილის შეძენის შედეგად მიღებული ხმის უფლების ან/და სხვა უფლებამოსილებების გამოყენების შედეგების გაუქმება.

**მუხლი 13. საქართველოს ეროვნული ბანკისთვის პერიოდულად წარსადგენი ინფორმაცია**

1. მიკრობანკი თავის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით საქართველოს ეროვნულ ბანკს წლიურ ანგარიშთან ერთად წარუდგენს ინფორმაციას მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრის შესახებ და აღნიშნავს, ადასტურებს თუ არა ამ ინფორმაციის სიზუსტეს.

2. მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრე ვალდებულია ყოველი წლის აპრილში საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს განახლებული ინფორმაცია შეცვლილი გარემოებების შესახებ ან დაადასტუროს, რომ გარემოებები არ შეცვლილა.

3. მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის წარუდგენლობა გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

4. მიკრობანკი ვალდებულია ჰქონდეს სრული ინფორმაცია მიკრობანკის თითოეული ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის შესახებ, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს მისი წილის 10 პროცენტზე მეტს (წილის ოდენობის მითითებით), ეს ინფორმაცია (აგრეთვე ინფორმაცია ბენეფიციარ მესაკუთრესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილების თაობაზე) მიაწოდოს საქართველოს ეროვნულ ბანკს და საჯაროდ გამოაქვეყნოს თავის წლიურ ანგარიშში. საქართველოს ეროვნული ბანკი განსაზღვრავს აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებისა და გამოქვეყნების წესს, რომელიც ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ეფუძნება.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება არ ეკისრება იმ ბენეფიციარ მესაკუთრეს, რომლის ვინაობის დადგენაც მიკრობანკს არ შეუძლია, ვინაიდან მის სასარგებლოდ ნომინალურ მფლობელობას განვითარებულ ქვეყნებში განთავსებული და აღნიშნულ ქვეყნებში შესაბამისი უფლებამოსილების მქონე საკლირინგო ორგანიზაციები ან საერთაშორისო დეპოზიტარები ახორციელებენ.

**მუხლი 14. მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრის მიერ ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის მოთხოვნა და საზედამხედველო ზომები**

1. საფუძვლიანი ეჭვის გაჩენის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მიკრობანკს მოსთხოვოს მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრის შესახებ განახლებული ან დამაზუსტებელი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრე შესაბამის ინფორმაციას/დოკუმენტაციას არ წარადგენს ან, საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით, მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრე ვეღარ აკმაყოფილებს შესაფერისობის კრიტერიუმებს, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მას:

ა) შეუჩეროს ხმის უფლება და მოსთხოვოს მის საკუთრებაში არსებული წილის 60 დღის ვადაში 10 პროცენტამდე შემცირება;

ბ) უვადოდ შეუჩეროს ხმის უფლება.

3. პირს უფლება აქვს, მიკრობანკის წილის შეძენაზე უარის თქმის, ხმის უფლების შეჩერების ან/და მის საკუთრებაში არსებული წილის 10 პროცენტამდე შემცირების მოთხოვნის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივროს.

4. ხმის უფლების შეჩერების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში პირს უფლება აქვს, ისარგებლოს მხოლოდ წილის 10 პროცენტის შესაბამისი ხმის უფლებით.

## თავი IV. საკუთრების უფლება და მართვა

**მუხლი 15. მოთხოვნები მიკრობანკის კაპიტალისა და რეზერვების მიმართ**

1. საქართველოს ეროვნული ბანკი მიკრობანკს პერიოდულად განუსაზღვრავს მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებს, მათი დაცვის წესებს, განაღდებული კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ ოდენობებს და მათი ფორმირების წესებს.

2. მიკრობანკს არ აქვს უფლება, საქართველოს ეროვნული ბანკისგან წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღებისა და თავის წესდებაში განცხადებული კაპიტალისა და განაღდებული კაპიტალის ცვლილების შესახებ სათანადო შესწორების შეტანის გარეშე შეამციროს განაღდებული კაპიტალი.

მუხლი 16. მიკრობანკის ინვესტიციები

მიკრობანკი უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს ინვესტიცია (მათ შორის, შექმნას ან შეიძინოს შვილობილი საწარმო) ისეთ იურიდიულ პირში, რომელიც ფინანსური ინსტიტუტია ან რომლის საქმიანობაც მიკრობანკის საქმიანობასთან ან მიკრობანკის სოციალურ პროექტებთან არის დაკავშირებული. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ საწარმოში წილი არ უნდა აღემატებოდეს მიკრობანკის სააქციო კაპიტალის 20 პროცენტს, ხოლო ინვესტიციების ჯამური ღირებულება – მიკრობანკის სააქციო კაპიტალის 30 პროცენტს. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მიკრობანკი არაუმეტეს 1 წლის ვადით გაათავისუფლოს ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული პროცენტული ზღვრების დაცვისგან;

ბ) მის მიერ გაცემული კრედიტის თანხის ასანაზღაურებლად მიიღოს საწარმოს წილი. მიკრობანკმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საქართველოს ეროვნულ ბანკს, აგრეთვე უნდა შეატყობინოს მას აღნიშნული საწარმოს საქმიანობის თაობაზე. თუ იმ საწარმოს საქმიანობა, რომლის წილიც მიიღო მიკრობანკმა, არ არის ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობა, მიკრობანკმა 6 თვის ვადაში უნდა მიიღოს ზომები აღნიშნული წილის გაყიდვისთვის. საქართველოს ეროვნული ბანკისგან თანხმობის მიღების შემთხვევაში მიკრობანკი უფლებამოსილია წილი გაყიდოს არაუგვიანეს 1 წლისა. განსაკუთრებულ შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გააგრძელოს ეს ვადა, რომელიც, მიუხედავად იმისა, თუ რამდენჯერ გაგრძელდება, ჯამურად 2 წელს არ უნდა აღემატებოდეს. თუ დასაკუთრებული წილის ოდენობა მიკრობანკს საწარმოს კონტროლისა და მისი საქმიანობის მართვის უფლებამოსილებას ანიჭებს, მიკრობანკის მიერ წილის დასაკუთრებიდან გასხვისებამდე დაუშვებელია საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობის გარეშე საწარმოს მიერ ახალი, დამატებითი საქმიანობის დაწყება.

**მუხლი 17. მოთხოვნები მიკრობანკის შვილობილი საწარმოს მიმართ, რომელიც საქართველოს ფარგლების გარეთ ახორციელებს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული პირებისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საქმიანობას**

1. მიკრობანკმა საქართველოს ფარგლების გარეთ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული პირებისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად შვილობილი საწარმოს შექმნიდან ან შეძენიდან 14 დღის ვადაში საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს მიკრობანკის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის (FATF) (შემდგომ – FATF) რეკომენდაციების შესასრულებლად მიკრობანკის შვილობილმა საწარმომ ფუნქციონირების დაწყებისთანავე შეიმუშავა შიდა კონტროლის სისტემა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

2. თუ შვილობილი საწარმოს ადგილსამყოფელი უცხო ქვეყნის კანონმდებლობით (კანონებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით) გათვალისწინებული არ არის შვილობილი საწარმოს მიერ FATF-ის რეკომენდაციების შესრულება ან ამ ქვეყანაში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა არ ხორციელდება და FATF-ის რეკომენდაციები საერთოდ ან საკმარისად არ სრულდება:

ა) მიკრობანკმა უნდა აიღოს წერილობითი ვალდებულება, რომ იგი უზრუნველყოფს შვილობილი საწარმოს მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების განხორციელებას მიკრობანკის მიმართ საქართველოში არსებული მოთხოვნებისა და FATF-ის რეკომენდაციების შესაბამისად;

ბ) მიკრობანკი უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის იმის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას, რომ შვილობილი საწარმო ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს ვერ ახორციელებს, რადგან ამას კრძალავს ან ზღუდავს შვილობილი საწარმოს ადგილსამყოფელი უცხო ქვეყნის კანონმდებლობა.

## მუხლი 18. მიკრობანკის კომერციულ ბანკად გარდაქმნა

1. მიკრობანკი უფლებამოსილია შეიცვალოს საქმიანობის საგანი და მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად.

2. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე მიკრობანკი უწყვეტად ახორციელებს ნებადართულ საქმიანობას და მასზე ვრცელდება ამ კანონის მოთხოვნები.

3. საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებასთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შესახებ. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებისთანავე მისი უფლებამონაცვლე ხდება შესაბამისი კომერციული ბანკი.

4. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე უარის მიღების შემთხვევაში მიკრობანკი აგრძელებს საქმიანობას ამ კანონით დადგენილი წესით.

## მუხლი 19. მიკრობანკის გაყოფა ან მიკრობანკების შერწყმა

1. მიკრობანკის გაყოფა (დაყოფა ან გამოყოფა) ან მიკრობანკების შერწყმა (მიერთება ან გაერთიანება) შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკისგან წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ. დაუშვებელია მიკრობანკის ისეთი გაყოფა ან მიკრობანკების ისეთი შერწყმა, რომელიც ამ კანონის მე-16 მუხლს არ შეესაბამება.

2. საქართველოს ეროვნული ბანკი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განიხილავს მიკრობანკების შერწყმის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობას.

## მუხლი 20. მიკრობანკის კორპორაციული მართვა

1. მიკრობანკს აქვს წესდება. მიკრობანკის წესდება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას. მიკრობანკის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ დაუყოვნებლივ, წერილობით ეცნობება საქართველოს ეროვნულ ბანკს.

2. მიკრობანკის მართვა ხორციელდება მისი წესდებითა და სხვა შიდაორგანიზაციული წესებით. ეს წესები უნდა განსაზღვრავდეს ორგანიზაციულ სტრუქტურას, რისკების მართვის ჩარჩოს, პასუხისმგებლობებს და ფორმალიზებული და საქართველოს ეროვნული ბანკისთვის მუდმივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

3. მიკრობანკის ხელმძღვანელი ორგანოები იქმნება და ეს ორგანოები ფუნქციონირებენ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით. მიკრობანკის უმაღლესი მმართველი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობისა და მიკრობანკის წესდების შესაბამისად. იგი ირჩევს მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭოს. აქციონერთა საერთო კრების ჩატარების შესახებ ინფორმაცია (მისი ჩატარების ადგილის, თარიღის, დროის, დღის წესრიგისა და სხვა მონაცემების მითითებით) კრებაში შესაძლო მონაწილეობის მისაღებად აქციონერებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში უნდა მიეწოდოს საქართველოს ეროვნულ ბანკს.

4. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით განსაზღვროს მიკრობანკის კორპორაციული მართვის მიმართ დამატებითი მოთხოვნები.

### მუხლი 21. მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭო

1. მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს მიკრობანკის საქმიანობის ზედამხედველობას. იგი შედგება არანაკლებ 3 და არაუმეტეს 21 წევრისგან. მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭოს შექმნისა და მისი შემადგენლობის განსაზღვრის წესი დგინდება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით.

2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა ასრულებდეს აღმასრულებელ ფუნქციებს.

3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება 4 წლის ვადით. მისი განმეორებით არჩევა შეუზღუდავია.

4. აქციონერთა საერთო კრება განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთათვის ანაზღაურების მიცემის საკითხს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭოს წევრისთვის ნებადართულია მხოლოდ ფიქსირებული ანაზღაურების მიღება.

5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არ შეიძლება აირჩეს და აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისგან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-7 მუხლითა და ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ადმინისტრატორთა შესაფერისობის მოთხოვნებს.

6. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი მიკრობანკის საქმეებს კეთილსინდისიერად უნდა უძღვებოდეს, მიკრობანკზე ისე უნდა ზრუნავდეს, როგორც ზრუნავს ანალოგიურ პირობებში მყოფი კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე პირი, და მიკრობანკის სტაბილურობის ინტერესების შესაბამისად უნდა მოქმედებდეს. ამ მოვალეობების ბრალეული შეუსრულებლობით მიყენებული ზიანისთვის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მიკრობანკის წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, თუ იგი თავისი ქმედებით აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებას ასრულებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მან საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ან იცოდა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ზიანის მიყენებას გამოიწვევდა, მაგრამ ამის თაობაზე არ შეატყობინა საერთო კრებას გადაწყვეტილების მიღებამდე ან აღსრულებამდე.

7. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს მიკრობანკის ინტერესებს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საქმეს გონივრულად და დამოუკიდებლად უნდა მიუდგნენ. მათ უნდა უზრუნველყონ მიკრობანკის კომპეტენტური დირექტორების შერჩევა და შენარჩუნება, აგრეთვე მიკრობანკის საქმიანობის სტრატეგიის განსაზღვრა.

8. სამეთვალყურეო საბჭო, მისი წევრი არ არის უფლებამოსილი, აქციონერთა საერთო კრების თანხმობის გარეშე განახორციელოს თავისი უფლებების სხვისთვის დელეგირება.

მუხლი 22. მიკრობანკის დირექტორატი

1. მიკრობანკის ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ევალებათ მიკრობანკის დირექტორებს. ისინი პასუხისმგებელი არიან მიკრობანკის საქმეების მართვისა და მისი ფუნქციების შესრულებისთვის. მიკრობანკის დირექტორატი შედგება არანაკლებ 3 დირექტორისგან, რომლებსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო არაუმეტეს 4 წლის ვადით. მათი განმეორებით დანიშვნა შეუზღუდავია.

2. მიკრობანკის დირექტორატის სტრუქტურაში უნდა იყოს გენერალური დირექტორი, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო.

3. მიკრობანკის დირექტორატის წევრად არ შეიძლება დაინიშნოს და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით დირექტორატის წევრობისგან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-7 მუხლითა და ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ადმინისტრატორთა შესაფერისობის მოთხოვნებს.

4. მიკრობანკის დირექტორატის წევრი მიკრობანკის საქმეებს კეთილსინდისიერად უნდა უძღვებოდეს, მიკრობანკზე ისე უნდა ზრუნავდეს, როგორც ზრუნავს ანალოგიურ პირობებში მყოფი კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე პირი, და მიკრობანკის სტაბილურობის ინტერესების შესაბამისად უნდა მოქმედებდეს. ამ მოვალეობების ბრალეული შეუსრულებლობით მიყენებული ზიანისთვის დირექტორატის წევრები მიკრობანკის წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს. დირექტორი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, თუ იგი თავისი ქმედებით აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებას ასრულებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მან საერთო კრების გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ან იცოდა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ზიანის მიყენებას გამოიწვევდა, მაგრამ ამის თაობაზე არ შეატყობინა საერთო კრებას გადაწყვეტილების მიღებამდე ან აღსრულებამდე.

5. მიკრობანკის დირექტორატს აქვს უფლება, კონკრეტულ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე განახორციელოს თავისი უფლებამოსილების (გარდა მიკრობანკის მართვასა და ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ძირითადი უფლებამოსილებისა) სხვისთვის მთლიანად ან ნაწილობრივ დელეგირება.

მუხლი 23. აუდიტის კომიტეტი

1. მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან იქმნება აუდიტის კომიტეტი. აუდიტის კომიტეტის წევრთა უმრავლესობას სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები უნდა შეადგენდნენ.

2. მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი დამოუკიდებლად მიიჩნევა, თუ იგი არ განიცდის მიკრობანკის ან სხვა მხარის გავლენას, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს საქმიანობის განხორციელებისას ობიექტური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებაში. მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის განსაზღვრის დამატებითი კრიტერიუმები დგინდება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით.

3. აუდიტის კომიტეტის სულ მცირე 2 წევრს, მათ შორის, აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეს, უნდა ჰქონდეს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი ან გამოცდილება ან ფინანსური განათლება.

4. აუდიტის კომიტეტი მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭოს პერიოდულად აბარებს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ.

5. აუდიტის კომიტეტის ძირითადი ფუნქციებია: შიდა კონტროლის საკითხებთან მიმართებით მიკრობანკის მიდგომებისა და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკის განსაზღვრა, ფინანსური ანგარიშგების პროცესის მონიტორინგი, შიდა აუდიტისა და მიკრობანკის აუდიტორების

ფუნქციონირების ხელშეწყობა. აუდიტის კომიტეტის ფუნქციები და პასუხისმგებლობა დამატებით საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება.

## მუხლი 24. საბანკო საიდუმლოება

1. არავის არ აქვს უფლება, დაუშვას ვინმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვას და გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია ან პირადი სარგებლობისთვის გამოიყენოს იგი. კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოთ მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკსა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას მათი კომპეტენციის ფარგლებში.

2. ნებისმიერი გარიგების (მათ შორის, გარიგების დადების მცდელობის შემთხვევაში), განხორციელებული გადახდის ოპერაციის, ანგარიშის, ანგარიშიდან განხორციელებული ოპერაციისა და ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიეცეს შესაბამისი გარიგების მონაწილე მხარეს, გადახდის ოპერაციის განხორციელებისას – გადამხდელ პირს ან/და მიმღებ პირს, შესაბამისი ანგარიშის მფლობელს და მათ წარმომადგენლებს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან აღასრულონ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული აღსრულების ქვემდებარე აქტები, მათი აღსრულების პროცესში, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემოწმების განხორციელებისას – პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილების, „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით" შეთანხმების, „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ" 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ" კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმების (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე – საგადასახადო ორგანოს, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს. ეს ინფორმაცია შეიძლება გაიცეს აგრეთვე სასამართლოს შესაბამისი განჩინების საფუძველზე.

3. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია გადასცეს „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით" შეთანხმებით განსაზღვრულ ამერიკის შეერთებული შტატების კომპეტენტურ ორგანოს.

4. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია გადასცეს იმ იურისდიქციების კომპეტენტურ უწყებებს, რომლებთანაც ამოქმედებულია „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ" 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ" კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმება (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შესაბამისი შეთანხმება.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება მიკრობანკის ჯგუფში და მიკრობანკებს შორის ინფორმაციის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნებისთვის გაცვლაზე.

# თავი V. საოპერაციო მოთხოვნები

**მუხლი 25. მიკრობანკის საქმიანობის ზოგადი პრინციპები**

1. მიკრობანკის მართვა და მისი საოპერაციო საქმიანობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის თანახმად დასაბუთებული ადმინისტრაციული და სააღრიცხვო პროცედურების, მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიისთვის დართული პირობებისა და შეზღუდვების, აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბანკის დადგენილებების, წესებისა და ინსტრუქციების შესაბამისად. აუცილებელია საქართველოს ეროვნული ბანკის იმ წესების, ნორმატივებისა და ინსტრუქციების გამოქვეყნება, რომლებიც ერთზე მეტ მიკრობანკს ეხება. ისინი მოქმედებს გამოქვეყნების დღიდან ან ამ წესებში, ნორმატივებსა და ინსტრუქციებში მითითებული შესაბამისი თარიღიდან.

2. მიკრობანკის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით მიკრობანკსა და კლიენტს შორის ურთიერთობის პირობები განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით. ფულადი გადარიცხვების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევისას მიკრობანკი ვალდებულია კლიენტს გადაუხადოს დაგვიანებული თანხის არანაკლებ 0.5 პროცენტისა ყოველ ვადაგადაცილებულ საბანკო დღეზე.

3. მიკრობანკი უფლებამოსილია შეიმუშაოს და საქართველოს ეროვნულ ბანკს შესათანხმებლად წარუდგინოს მომსახურების გაწევისას ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკა, რომლის საფუძველზედაც მიკრობანკის მიერ მომსახურების გაწევის დროს გამოყენებულ ელექტრონულ ხელმოწერას აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა. ასეთი ელექტრონული ხელმოწერით დამოწმებული ელექტრონული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია ყველა შემთხვევაში, როდესაც საქართველოს კანონმდებლობა მატერიალურ დოკუმენტს მოითხოვს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენა სავალდებულო არ არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიკრობანკი მომსახურების გაწევის დროს იყენებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოშვებული ელექტრონული პირადობის მოწმობის საშუალებით განხორციელებულ ხელმოწერას ან ხელმოწერას, რომლის სერტიფიკატიც გაცემულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები მიკრობანკს არ უზღუდავს უფლებას, მომსახურების გაწევის დროს გამოიყენოს ელექტრონული ხელმოწერა „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მიკრობანკს მოსთხოვოს ამ პუნქტის შესაბამისად გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოების პოლიტიკის საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმება. თუ საქართველოს ეროვნული ბანკი მიკრობანკის მიერ წარდგენილი ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის შეფასების შემდეგ უარს განაცხადებს ამ პუნქტის შესაბამისად ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის შეთანხმებაზე, მიკრობანკი ვალდებულია შეწყვიტოს ასეთი ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება.

**მუხლი 26. ეკონომიკური ლიმიტები, ნორმატივები და ინდივიდუალური მოთხოვნები**

1. მიკრობანკი ვალდებულია დაიცვას საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტებით დადგენილი შემდეგი ეკონომიკური ლიმიტები და ნორმატივები:

ა) საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა;

ბ) სხვადასხვა სახეობის კაპიტალის კლასიფიცირებულ აქტივებთან თანაფარდობა საქართველოს ეროვნული ბანკის წესების შესაბამისად;

გ) ერთ მსესხებელზე ან ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების მაქსიმალური ჯამური ოდენობა. იგი 1 000 000 (ერთ მილიონ) ლარს არ უნდა აღემატებოდეს;

დ) ერთი მსხვილი სესხისა და ყველა მსხვილი სესხისა და სხვა ვალდებულებების პირველად კაპიტალთან თანაფარდობა;

ე) ყველა ინსაიდერზე გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხის პირველად კაპიტალთან თანაფარდობა;

ვ) ლიკვიდურობის დონე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ) აქტივებისა და გარესაბალანსო ვალდებულებების კლასიფიკაცია და მათი შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირება და გამოყენება;

თ) ინვესტიციებისა და ქონებრივი ინვესტიციების სააქციო კაპიტალთან თანაფარდობა;

ი) ღია სავალუტო პოზიციის საზედამხედველო კაპიტალთან თანაფარდობის ლიმიტი.

2. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, რისკზე დამყარებული ზედამხედველობის პრინციპებიდან გამომდინარე, თითოეულ მიკრობანკს განუსაზღვროს ეკონომიკური ლიმიტებისა და ნორმატივების ინდივიდუალური მაჩვენებლები და სხვა მოთხოვნები ან მიკრობანკებს დაუწესოს ეკონომიკურ ლიმიტებსა და ნორმატივებთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები.

3. თუ მიკრობანკის მთლიანი აქტივები საბანკო სექტორის მთლიანი აქტივების 2 პროცენტს გადააჭარბებს, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მიკრობანკს მოსთხოვოს აღნიშნული ლიმიტის ფარგლებში დაბრუნების გეგმის წარდგენა ან განუსაზღვროს დამატებითი ან/და განსხვავებული საზედამხედველო მოთხოვნები.

**მუხლი 27. მიკრობანკის საქმიანი ურთიერთობა კლიენტთან**

1. მიკრობანკი ანგარიშის გახსნის პროცედურას ახორციელებს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებისა და „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმების (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შესაბამისი შეთანხმების შესაბამისად.

2. მიკრობანკი ვალდებულია თავის კლიენტთან/მომსახურების მომხმარებელთან საქმიანი ურთიერთობის პერიოდში და კლიენტის მიერ განხორციელებული ოპერაციის შემოწმებისას იცოდეს მისი ვინაობა, საქმიანობა და ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებით ამ საქმიანობის რისკის დონე. მიკრობანკი ასევე ვალდებულია, „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, განსაზღვროს თავისი კლიენტის საგადასახადო რეზიდენტობა და მოიპოვოს ინფორმაცია პირის შესაბამისი სტატუსის შესახებ.

3. საქართველოში მოქმედი მიკრობანკი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს სხვა, დამატებითი

ინფორმაცია და მოითხოვოს მისი წარდგენა.

4. საქართველოში მოქმედი მიკრობანკი უფლებამოსილია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადოს ანგარიშის გახსნაზე ან მომსახურების გაწევაზე. მიკრობანკი ვალდებულია თავის კლიენტს გაუხსნას „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის $20^2$ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საგადახდო ანგარიში, თუ ამ ვალდებულების შესრულება არ იწვევს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ კანონმდებლობის დარღვევას.

5. მიკრობანკი უფლებამოსილია პირს უარი უთხრას ანგარიშის გახსნაზე ან დაუხუროს არსებული ანგარიში, თუ ეს პირი უარს აცხადებს მიკრობანკისთვის „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით, „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმებით (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შესაბამისი შეთანხმებით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე ინფორმაციის მიწოდებაზე.

6. მიკრობანკი, რომელიც არის „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმებით (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შესაბამისი შეთანხმებით განსაზღვრული ანგარიშმგები ფინანსური ინსტიტუტი, ვალდებულია აღნიშნული შეთანხმებით განსაზღვრული სათანადო პროცედურები განახორციელოს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული „ანგარიშგების საერთო სტანდარტის“ თანახმად.

### მუხლი 28. აკრძალული გარიგებები, მუშაობის მეთოდები

1. მიკრობანკს არ აქვს უფლება, თავის კლიენტთან დადოს ისეთი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, სესხის გაცემის ან მიკრობანკის მიერ რაიმე მომსახურების გაწევის პირობაა მიკრობანკის ან მონათესავე საწარმოს არასაბანკო მომსახურების შესყიდვა ან გამოყენება, თუ კლიენტს არ მიეცა არასაბანკო მომსახურების სხვა მომწოდებლისგან მიღების შესაძლებლობა.

2. მაკონტროლებელ პირს, ადმინისტრატორს ეკრძალება ისეთი ქმედების განხორციელება, რომლის შედეგადაც იგი მიკრობანკისგან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად დომინირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება ან/და რომელიც არასაბანკო სექტორში კონკურენციას შეზღუდავს.

3. მაკონტროლებელი პირი, ადმინისტრატორი ვალდებულია უზრუნველყოს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება და არ დაუშვას საკუთარი ინტერესების მიკრობანკის ინტერესებზე მაღლა დაყენება ან თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება. მაკონტროლებელ პირს, ადმინისტრატორს, რომლისთვისაც ხელმისაწვდომია არასაჯარო ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება გარკვეული ინვესტიციის ღირებულებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს, ეკრძალება ამ ინფორმაციის დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად გამოყენება.

4. ამ მუხლის მოთხოვნების შესასრულებლად მიკრობანკი ვალდებულია დანერგოს არასაჯარო ინფორმაციის მართვასთან დაკავშირებული ადეკვატური პოლიტიკა, პროცედურები და ტექნიკური სისტემები და განახორციელოს მათი მონიტორინგი, რაც უზრუნველყოფს მიკრობანკთან, მაკონტროლებელ პირებსა და ადმინისტრატორებთან დაკავშირებული მხარეებისთვის ინფორმაციის არასათანადო გაცემის შეზღუდვას.

5. ამ მუხლის მოთხოვნების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს ამ კანონით გათვალისწინებული

საზედამხედველო ზომები ან/და სანქცია (ფულადი ჯარიმა).

6. ამ მუხლის მოთხოვნების შესასრულებლად საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მიკრობანკის აქციონერებს, მაკონტროლებელ პირებსა და ადმინისტრატორებს სამართლებრივი აქტებით განუსაზღვროს აკრძალულ გარიგებებსა და მათთან მუშაობის მეთოდებთან დაკავშირებული წესები და შესაბამისი საზედამხედველო ზომები ან/და სანქცია (ფულადი ჯარიმა).

## მუხლი 29. ინფორმაციის/დოკუმენტაციის შენახვა

1. მიკრობანკი ვალდებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვადით შეინახოს მის ნებისმიერ გარიგებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, კერძოდ:

ა) შუამდგომლობები და სახელშეკრულებო დოკუმენტები, რომლებიც გარიგებას ეხება (მათ შორის, კრედიტთან, გარანტიასა და გირაოსთან დაკავშირებული შეთანხმებები);

ბ) მიკრობანკის პარტნიორების (მათ შორის, მსესხებლებისა და გარანტორების) ფინანსური ჩანაწერები და სხვა დოკუმენტური მოწმობები, რომლებსაც მიკრობანკი გარიგების დამტკიცებისას ეყრდნობა;

გ) გარიგების დამტკიცების შესახებ მიკრობანკის გადაწყვეტილების ხელმოწერილი ჩანაწერი;

დ) საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატივებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

2. მიკრობანკი ვალდებულია თავისი კლიენტების, აგრეთვე მათ მიერ და მათ ანგარიშებზე განხორციელებული ნებისმიერი ოპერაციის შესახებ ინფორმაცია ელექტრონული ფორმით შეინახოს არანაკლებ 15 წლის განმავლობაში.

## მუხლი 30. გარიგებები დაინტერესებულ პირებთან

1. მიკრობანკს ეკრძალება შეღავათიანი პირობებით ადმინისტრატორისთვის, მაკონტროლებელი პირისთვის, მონათესავე საწარმოსთვის ან მასთან დაკავშირებული პირისთვის მიკრობანკის საქმიანობის ფარგლებში ნებისმიერი პროდუქტის მიცემა ან ნებისმიერი მომსახურების გაწევა, სესხის სახეობის, საპროცენტო განაკვეთის, დაფარვის ვადის, უზრუნველყოფის საშუალების, ღირებულებისა და სხვა პირობების მიუხედავად.

2. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განსაზღვროს ინტერესთა კონფლიქტის მართვასთან დაკავშირებული საკითხები.

# თავი VI. ანგარიშები, ანგარიშგება, აუდიტი და ინსპექტირება

## მუხლი 31. ფინანსური ანგარიშგება და აუდიტი

1. მიკრობანკი და მისი შვილობილი ორგანიზაციები სისტემატურად აწარმოებენ ანგარიშებსა და ჩანაწერებს და ადგენენ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომლებიც „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS)“ საფუძველზე ზუსტად ასახავს მათ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობას. ამასთანავე, ისინი იცავენ საქართველოს ეროვნული ბანკის წესების შესაბამის ფორმას, დეტალურობის დონესა და სააღრიცხვო ნორმებს.

2. მიკრობანკის ანგარიშები, ჩანაწერები და ფინანსური ანგარიშგება (როგორც ინდივიდუალური, ისე კონსოლიდირებული) ასახავს მისი შვილობილი ორგანიზაციების ოპერაციებსა და ფინანსურ

მდგომარეობას.

3. მიკრობანკი და მისი შვილობილი ორგანიზაციები ვალდებული არიან ყოველწლიურად მოიწვიონ აუდიტორი და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით ჩაატარონ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

4. მიკრობანკი ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასრულებისთანავე საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს აუდიტორული დასკვნა და გამოაქვეყნოს საქართველოს ეროვნული ბანკის წესებით განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგება აუდიტორულ დასკვნასთან ერთად.

### მუხლი 32. ანგარიშგება და ინსპექტირება

1. მიკრობანკი საქართველოს ეროვნულ ბანკს მის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით წარუდგენს ანგარიშგებას, რომელშიც ასახულია როგორც მიკრობანკის, ისე მისი შვილობილი ორგანიზაციების ორგანიზაციულ-საგანმკარგულებლო საქმიანობა, საოპერაციო საქმიანობა, ლიკვიდურობა, გადახდისუნარიანობა და მოგებიანობა მიკრობანკისა და მისი შვილობილი ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის ერთობლივად და ცალ-ცალკე შეფასების მიზნით. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მიზნებისთვის მიკრობანკი საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს აგრეთვე შესაბამის ანგარიშგებას. ამ ანგარიშგების ფორმა, ხარისხი და წარდგენის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით.

2. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შეამოწმოს მიკრობანკი და მისი შვილობილი ორგანიზაციები, განახორციელოს ინსპექტირება როგორც ადგილზე შემოწმებით, ისე დისტანციური ზედამხედველობით, ასევე განახორციელოს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების, ანგარიშგების კომპონენტებისა და სხვა მასალების აუდიტი როგორც ინდივიდუალურად, ისე კონსოლიდირებულად. საქართველოს ეროვნული ბანკისთვის სრულად უნდა იყოს ხელმისაწვდომი მიკრობანკის ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის, მიკრობანკის აქციონერების, სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის წევრებისა და თანამშრომლების შესახებ მონაცემები და დოკუმენტები.

## თავი VII. საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ზომები და სანქცია (ფულადი ჯარიმა)

### მუხლი 33. საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ზომები და სანქცია (ფულადი ჯარიმა)

1. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მიკრობანკის, ადმინისტრატორის ან მაკონტროლებელი პირის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე საზედამხედველო ზომა ან/და სანქცია (ფულადი ჯარიმა), თუ არსებობს ერთი ან რამდენიმე შემდეგი საფუძველი:

ა) მიკრობანკმა, ადმინისტრატორმა ან მაკონტროლებელმა პირმა დაარღვია ამ კანონის ერთ-ერთი დებულება ან საქართველოს ეროვნული ბანკის რომელიმე ნორმატივი, ინსტრუქცია, დებულება, წესი, დადგენილება, მოთხოვნა, წერილობითი მითითება;

ბ) მიკრობანკმა, ადმინისტრატორმა ან მაკონტროლებელმა პირმა დაარღვია მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიისთვის ან საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი დებულებისთვის დართული რომელიმე პირობა ან შეზღუდვა;

გ) მიკრობანკმა, ადმინისტრატორმა ან მაკონტროლებელმა პირმა დაარღვია ანგარიშგების წარდგენის ვადა ან წარადგინა არასწორი ანგარიშგება და სხვა არაზუსტი ინფორმაცია;

დ) მიკრობანკმა, ადმინისტრატორმა ან მაკონტროლებელმა პირმა დაარღვია „ფულის გათეთრებისა და

ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები;

ე) მიკრობანკმა, ადმინისტრატორმა ან მაკონტროლებელმა პირმა დაარღვია „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები;

ვ) მიკრობანკმა, ადმინისტრატორმა ან მაკონტროლებელმა პირმა დაარღვია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები;

ზ) მიკრობანკმა, ადმინისტრატორმა ან მაკონტროლებელმა პირმა დაარღვია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნები, რითაც შეაფერხა საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო პროცესის განხორციელება;

თ) მიკრობანკი ჩართულია ან ჩართული იყო მიკრობანკის არაჯანსაღ ან საფრთხის შემქმნელ პრაქტიკაში;

ი) საზედამხედველო განხილვისა და შეფასების პროცესში რისკები გამოვლინდა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რომელიმე საფუძვლის გამოვლენისას საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თანამიმდევრულად ან არათანამიმდევრულად, პროპორციულობის პრინციპის დაცვით გამოიყენოს ერთი ან რამდენიმე შემდეგი საზედამხედველო ზომა:

ა) მიკრობანკს, ადმინისტრატორს ან/და მაკონტროლებელ პირს გაუგზავნოს წერილობითი გაფრთხილება;

ბ) მიკრობანკს მოსთხოვოს დამატებითი კაპიტალის მოზიდვა;

გ) მიკრობანკს მოსთხოვოს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების, კონტროლის სისტემებისა და სტრატეგიების გადახედვა და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის წარდგენა;

დ) დააწესოს სპეციალური ღონისძიებები, მიკრობანკს შეუწყვიტოს ან შეუზღუდოს გარკვეული ტიპის ოპერაციების განხორციელება ან გამოსცეს ინსტრუქცია (მითითება) მოთხოვნით, რომ მიკრობანკმა უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებსა და ჯანსაღ პრაქტიკასთან შესაბამისობა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ვადაში მიიღოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი საფუძვლის აღმოსაფხვრელად აუცილებელი ზომები;

ე) მიკრობანკს მოსთხოვოს აქტივების დარეზერვებასთან ან კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისთვის აქტივებთან დაკავშირებული კონკრეტული მიდგომის გამოყენება;

ვ) ერთ ან რამდენიმე ადმინისტრატორს შეუჩეროს ხელმოწერის უფლება ან მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭოს მოსთხოვოს მისი/მათი თანამდებობიდან გათავისუფლება; სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შემთხვევაში აქციონერთა საერთო კრებას მოსთხოვოს მისი თანამდებობიდან გათავისუფლება;

ზ) მიკრობანკს შეუჩეროს ან შეუზღუდოს აქტივების ზრდა, მოგების განაწილება, დივიდენდებისა და პრემიების გაცემა, ხელფასების გაზრდა და დეპოზიტების მოზიდვა;

თ) მაკონტროლებელ პირს ან/და მნიშვნელოვანი წილის მფლობელს შეუჩეროს ხმის უფლება მაკონტროლებელი პირის ან მნიშვნელოვანი წილის მფლობელის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ფინანსური ან სხვა ინფორმაციის მიუწოდებლობის ან საქართველოს კანონმდებლობის სხვაგვარად დარღვევის, მათ შორის, ამ კანონის მე-11 მუხლით განსაზღვრულ შესაფერისობის კრიტერიუმთან/კრიტერიუმებთან შეუსაბამობის, შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ, საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით, მაკონტროლებელი პირი ან მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციების ფლობიდან გამომდინარე საკუთარ უფლებამოსილებას მიკრობანკის ინტერესების საზიანოდ იყენებს. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხმის უფლების შეჩერების პირობებსა და ვადებს ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი არსებული გარემოებებიდან გამომდინარე;

ი) მაკონტროლებელ პირს მოსთხოვოს კონტროლის გაუქმება ან შეზღუდვა მაკონტროლებელი პირის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ფინანსური ან სხვა ინფორმაციის მიუწოდებლობის ან სხვა დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა განსაზღვროს კონტროლის გაუქმების ან შეზღუდვის პირობები და ვადები, რომლებსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს არსებული გარემოებებიდან გამომდინარე;

კ) მიკრობანკს მოსთხოვოს საქმიანობასთან, პროდუქტებთან ან/და სისტემებთან დაკავშირებულ რისკებზე შესაბამისი რეაგირება;

ლ) მიკრობანკს მოსთხოვოს ცვალებადი ანაზღაურების იმ მოცულობით შემცირება, რომელიც აუცილებელია კაპიტალის ადეკვატურობის დადგენილი კოეფიციენტების დასაცავად და სხვა ნორმატივების შესასრულებლად;

მ) მიკრობანკს შეუზღუდოს ან/და აუკრძალოს მისი აქციონერებისთვის ან/და პირველადი კაპიტალის მფლობელებისთვის კაპიტალის განაწილება ან/და სარგებლის გაცემა;

ნ) მიკრობანკს დაუწესოს დამატებითი მოთხოვნები საზედამხედველო ანგარიშგებასთან დაკავშირებით;

ო) მიკრობანკს დაუწესოს ლიკვიდურობის ინდივიდუალური მოთხოვნები;

პ) მიკრობანკს დაუწესოს დამატებითი მოთხოვნები ინფორმაციის გამჟღავნების მიმართ;

ჟ) მიკრობანკს გააუქმოს მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე საფუძვლის არსებობისას ან/და იმ შემთხვევაში, თუ მიკრობანკის ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად უარესდება ან ახლო მომავალში გაუარესდება, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს სხვადასხვაგვარად, მათ შორის, კაპიტალის ან ლიკვიდურობის მდგომარეობის გაუარესებით, უმოქმედო სესხების ან რისკის პოზიციების ზრდით, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საზედამხედველო ზომების მიღების გარეშე ან ამ ზომებთან ერთად, პროპორციულობის პრინციპის დაცვით გამოიყენოს ერთი ან რამდენიმე შემდეგი საზედამხედველო ზომა:

ა) მიკრობანკს მოსთხოვოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე ზომის მიღება;

ბ) მიკრობანკს მოსთხოვოს აქტივებისა და ვალდებულებების საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ შეფასება;

გ) მიკრობანკს მოსთხოვოს ბიზნესსტრატეგიაში ან ორგანიზაციულ სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა;

დ) მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს მოსთხოვოს მიკრობანკის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საფუძვლის/საფუძვლების განსახილველად და მის/მათ აღმოსაფხვრელად აუცილებელი ზომების მიღება. სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის მიერ მიკრობანკის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავად მოიწვიოს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება, განსაზღვროს მისი დღის წესრიგი და საერთო კრებას მოსთხოვოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საფუძვლის/საფუძვლების განხილვა და მის/მათ აღმოსაფხვრელად აუცილებელი ზომების მიღება;

ე) დანიშნოს დროებითი ადმინისტრატორი.

4. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“–„თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში საზედამხედველო ზომასთან ერთად ან ამ ზომის მიღების გარეშე, პროპორციულობის პრინციპის დაცვით მიკრობანკსა და მის ადმინისტრატორს ან/და მაკონტროლებელ პირს დააკისროს სანქცია (ფულადი ჯარიმა) თავის მიერ დადგენილი წესითა და

ოდენობით. ამასთანავე, მიკრობანკისთვის დაკისრებული ფულადი ჯარიმის ოდენობა მიკრობანკის სააქციო კაპიტალს არ უნდა აღემატებოდეს.

5. ამ მუხლით განსაზღვრული სანქციის (ფულადი ჯარიმის) თანხა მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

6. მხარეს, რომლის მიმართაც საზედამხედველო ზომა ან/და სანქცია (ფულადი ჯარიმა) იქნა გამოყენებული, უფლება აქვს, იგი შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობიდან 1 თვის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს.

**მუხლი 34. პროპორციულობის პრინციპი**

1. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ამ კანონის 33-ე მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება საზედამხედველო ზომის ან სანქციის (ფულადი ჯარიმის) გამოყენების საფუძვლის პროპორციული უნდა იყოს. საზედამხედველო ზომის ან სანქციის (ფულადი ჯარიმის) გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს ეროვნული ბანკი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) ამ კანონის 33-ე მუხლით განსაზღვრული საფუძვლების სერიოზულობას. ამ მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი აფასებს სულ მცირე მიკრობანკის ფინანსურ მდგომარეობას, მიკრობანკის რისკების მიმართ მისი კაპიტალის ადეკვატურობის დონეს, მიკრობანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ამ კანონის 33-ე მუხლით განსაზღვრული საფუძვლების ეფექტს, მასშტაბს, ოდენობას, მათ ურთიერთმიმართებას, ხანგრძლივობასა და სიხშირეს, მიკრობანკის საქმიანობის კანონიერებას ან/და მიკრობანკის აქტივებისთვის ზარალის მიყენების შესაძლო საფრთხეს;

ბ) მიკრობანკის მზადყოფნასა და რესურსს, აღმოფხვრას ამ კანონის 33-ე მუხლით განსაზღვრული საფუძვლები. ამ მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი აფასებს სულ მცირე ადმინისტრატორების შესაძლებლობას, გამოავლინონ და შეაფასონ მიკრობანკის რისკები, განახორციელონ მათი მონიტორინგი და მართონ ისინი. იგი ასევე აფასებს, რამდენად ეფექტიანად აღმოიფხვრება ამ კანონის 33-ე მუხლით განსაზღვრული საფუძვლები და რამდენად თანამშრომლობენ მიკრობანკი, ადმინისტრატორები და მაკონტროლებელი პირები საქართველოს ეროვნულ ბანკთან;

გ) იმას, თუ რამდენად ექმნება საფრთხე ფინანსური სექტორის სტაბილურობასა და ეფექტიან ფუნქციონირებას. ამ მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი აფასებს და ითვალისწინებს მიკრობანკის ზომას, აგრეთვე მიკრობანკისა და საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენელთა ურთიერთმიმართებას, მიკრობანკის ფუნქციების ჩანაცვლებადობას, მისი საქმიანობის სფეროებსა და კომპლექსურობას.

2. ეს მუხლი არ ვრცელდება საზედამხედველო ზომისა და სანქციის (ფულადი ჯარიმის) ფულის გათეთრების აღკვეთის ხელშეწყობის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევისთვის გამოყენების შემთხვევაზე.

**მუხლი 35. დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმი**

1. თუ ამ კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტით ან/და მე-3 პუნქტით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე საფუძვლის არსებობისას საზედამხედველო ზომების მიღებამ შედეგი არ გამოიღო ან თუ, საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით, ამ ზომების მიღება შესაბამისი შედეგის მისაღწევად საკმარისი არ იქნება, მიკრობანკისა და ფინანსური სექტორის სტაბილური და ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობისა და მიკრობანკის დეპოზიტართა ან სხვა კრედიტორთა ინტერესების დაცვის მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ამ კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტით ან/და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საზედამხედველო ზომების მიღების გარეშე ან ამ ზომების მიღებასთან ერთად დანიშნოს დროებითი ადმინისტრატორი.

2. დროებითი ადმინისტრატორი მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას იწყებს დროებითი

ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული დღიდან. ეს გადაწყვეტილება ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“.

3. დროებითი ადმინისტრატორი ვალდებულია დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღების შესახებ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის დღისა, აცნობოს იმ საგადახდო სისტემის ოპერატორს, რომლის სისტემის მონაწილეც არის ის მიკრობანკი, რომელსაც დროებითი ადმინისტრაცია მართავს.

4. დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დღიდან დაუშვებელია მიკრობანკის სახელითა და ხარჯით ნებისმიერი ქმედების განხორციელება დროებითი ადმინისტრატორის წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. დროებით ადმინისტრატორზე გადადის მიკრობანკის ყველა ორგანოს (მათ შორის, აქციონერთა საერთო კრებისა და ადმინისტრატორების) სრული უფლებამოსილება.

6. დროებითი ადმინისტრატორი ვალდებულია უმოკლეს ვადაში აღძრას შუამდგომლობა საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენილ თანამდებობის პირთა სიაში აუცილებელი ცვლილების შეტანის შესახებ.

7. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ცალკე ნორმატიული აქტით განსაზღვროს დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებისა და დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების წესი.

**მუხლი 36. დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის წესი**

დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებაში აღინიშნება:

ა) დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის საფუძვლები;

ბ) დროებითი ადმინისტრატორის (ადმინისტრატორების) სახელი (სახელები) და გვარი (გვარები);

გ) დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების ვადა;

დ) გაფრთხილება მიკრობანკის კლიენტთა სახსრების შესაძლო გაყინვის შესახებ;

ე) ზომები, რომლებიც გამოიყენება ადმინისტრატორების მიმართ.

**მუხლი 37. დროებითი ადმინისტრატორის უფლებამოსილებები**

1. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დანიშნულ დროებით ადმინისტრატორს უფლება აქვს, მიიღოს მიკრობანკის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისთვის აუცილებელი ზომები, მისი ფილიალების დახურვის, მიკრობანკის თანამშრომელთა გათავისუფლების, სახსრების გადახდის ან მათი გადახდის შეჩერების ჩათვლით. დროებითი ადმინისტრატორი ასევე უფლებამოსილია განახორციელოს მიკრობანკის სხვა მიკრობანკთან ან კომერციულ ბანკთან შერწყმა, მისი კაპიტალის განახლება ან მისი აქტივებისა და ვალდებულებების ან მათი ნაწილის სხვა ფინანსურ ინსტიტუტზე გასხვისება. სახსრების გადახდის ან მათი გადახდის შეჩერების შესახებ დროებითი ადმინისტრატორის გადაწყვეტილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

2. დროებითი ადმინისტრატორი უფლებამოსილია, „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განხორციელებული ქმედების გარდა, სასამართლოში სარჩელის შეტანით სადავო გახადოს ადმინისტრატორის ქმედება, რომელიც

განხორციელდა დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნამდე 1 წლის განმავლობაში (თუ შეცილების მოწინააღმდეგე მხარე დაკავშირებული პირია – 2 წლის განმავლობაში) და რომელმაც მიკრობანკის კრედიტორებს ზიანი მიაყენა. ადმინისტრატორის მიერ კრედიტორებისთვის ზიანის მისაყენებლად განხორციელებული ქმედება შეიძლება საცილო გახდეს, თუ იგი დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნამდე 3 წლის განმავლობაში განხორციელდა.

**მუხლი 38. დროებითი ადმინისტრაციის გაუქმება**

1. დროებითი ადმინისტრაცია უქმდება:

ა) მისი მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, რის შესახებ ინფორმაციაც ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში";

ბ) საქართველოს ეროვნული ბანკის დასაბუთებული გადაწყვეტილებით;

გ) მიკრობანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში, თუ, დროებითი ადმინისტრატორის დასკვნით, მიზანი – მიკრობანკის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღება – ვერ მიიღწევა.

2. დროებით ადმინისტრატორს უფლება აქვს, მიკრობანკის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისთვის ნებისმიერ მომენტში განახორციელოს მიკრობანკში არსებული ფიზიკური პირებისა და იურიდიული პირების ფულადი სახსრების მთლიანად ან ნაწილობრივ ბლოკირება დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების ვადით, იმ პირობით, რომ მიკრობანკი მიიღებს მათი სტაბილურობის შესანარჩუნებლად აუცილებელ ზომებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონისა და „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

**მუხლი 39. მიკრობანკის ლიკვიდაცია**

1. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებისას (გარდა ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა) იწყება მიკრობანკის ლიკვიდაციის პროცესი, რომლის მიზანია ფინანსური სექტორის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობა, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული დაზღვეული დეპოზიტების დაცვა და მიკრობანკის კრედიტორთა მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილება. მიკრობანკის ლიკვიდატორის ფუნქციებს ასრულებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული პირი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერვე დადგენილი წესით. დაუშვებელია მიკრობანკის ლიკვიდატორად მიკრობანკთან დაკავშირებული პირის დანიშვნა. მიკრობანკის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისთანავე წყდება მის მიმართ მიმდინარე იძულებითი აღსრულება.

2. თუ მიკრობანკი საგადახდო სისტემის ოპერატორი ან/და ანგარიშსწორების აგენტი იყო, მიკრობანკის ლიკვიდატორი ვალდებულია დანიშვნისთანავე უზრუნველყოს მის მიერ მიკრობანკის ლიკვიდატორის ფუნქციების შესრულების დაწყებამდე საგადახდო სისტემის მიერ მიღებული ტრანსფერორდერების შესრულება, საგადახდო სისტემის მონაწილეთა ანგარიშსწორების პოზიციების დადგენა ან/და ანგარიშსწორების განხორციელება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

3. მიკრობანკის ლიკვიდატორი ვალდებულია დანიშვნიდან 3 თვის ვადაში შეადგინოს მიკრობანკის აქტივებისა და პასივების ნუსხა და მისი ასლი საქართველოს ეროვნულ ბანკს გადასცეს. მიკრობანკის ლიკვიდატორი ანგარიშვალდებულია საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერვე დადგენილი წესით.

4. მიკრობანკის ლიკვიდატორი უფლებამოსილია მიკრობანკის აქტივები საჯარო აუქციონზე გაყიდოს ან საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით შეარჩიოს მათი რეალიზაციის სხვა ფორმა, აგრეთვე ამ აქტივების მოთხოვნის უფლება გადასცეს მიკრობანკის კრედიტორებს რიგითობის მიხედვით, ხოლო

სესხების ან სხვა ფინანსური აქტივების მოთხოვნის უფლება – სხვა მიკრობანკს ან ფინანსურ ინსტიტუტს და ორგანიზება გაუწიოს ამ ვალდებულებების გადაცემას.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული აქტივებისა და ვალდებულებების გადაცემისთვის მიკრობანკის კრედიტორთა თანხმობა საჭირო არ არის.

6. მიკრობანკის ლიკვიდატორი უფლებამოსილია შეწყვიტოს:

ა) თანამშრომლის დაქირავების შესახებ გარიგება;

ბ) იმ მომსახურების შესახებ კონტრაქტი, რომლის განხორციელებაშიც მიკრობანკი მონაწილეობდა;

გ) მიკრობანკის, როგორც უძრავი ქონების მოიჯარის, ნებისმიერი ვალდებულება, თუ მეიჯარეს (მეიჯარე 60 დღით ადრე უნდა იქნეს გაფრთხილებული იმის შესახებ, რომ მიკრობანკი საიჯარო შეთანხმების გაუქმების უფლების გამოყენებას აპირებს) არ აქვს მოთხოვნა საიჯარო გადასახდელზე, გარდა შეთანხმების გაუქმების თარიღისთვის დარიცხული თანხისა, და არ მოითხოვს მისი გაუქმების შედეგად წარმოშობილი ზარალის ანაზღაურებას;

დ) მიკრობანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია და ის იმავე პირობებით გადაიტანოს სხვა მიკრობანკში ან კომერციულ ბანკში. მისი გადატანისთვის საბანკო გარანტიის ბენეფიციარისა და პრინციპალის თანხმობა საჭირო არ არის. მიკრობანკის ლიკვიდატორი ვალდებულია საბანკო გარანტიის ბენეფიციარსა და პრინციპალს შეატყობინოს აღნიშნული საბანკო გარანტიის სხვა მიკრობანკში ან კომერციულ ბანკში გადატანის შესახებ.

7. მიკრობანკის ლიკვიდატორი უფლებამოსილია, „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განხორციელებული ქმედების გარდა, სასამართლოში სარჩელის შეტანით სადავო გახადოს ადმინისტრატორის ქმედება, რომელიც განხორციელდა მიკრობანკის ლიკვიდატორის დანიშვნამდე 1 წლის განმავლობაში (თუ შეცილების მოწინააღმდეგე მხარე დაკავშირებული პირია – 2 წლის განმავლობაში) და რომელმაც კრედიტორებს ზიანი მიაყენა. ადმინისტრატორის მიერ მიკრობანკის კრედიტორებისთვის ზიანის მისაყენებლად განხორციელებული ქმედება შეიძლება საცილო გახდეს, თუ იგი მიკრობანკის ლიკვიდატორის დანიშვნამდე 3 წლის განმავლობაში განხორციელდა.

8. მიკრობანკის ლიკვიდატორმა:

ა) უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა რწმუნებული პირის ყველა ფუნქციის შესაწყვეტად, რომლებსაც ორგანიზაცია ასრულებდა, ორგანიზაციის, როგორც რწმუნებული პირის, კუთვნილი ყველა აქტივი და საკუთრება მათ მესაკუთრეებს დაუბრუნოს და განახორციელოს ყველა ანგარიშსწორება რწმუნებული პირის ანგარიშების მიხედვით;

ბ) მიკრობანკის სააღრიცხვო დოკუმენტების შესაბამისად მიკრობანკის ყველა მეანაბრეს, დანარჩენ კრედიტორებს, კლიენტებს, რომლებიც ფასეულობას მიკრობანკის სეიფებში ინახავენ, აგრეთვე იმ ქონების დეპონენტებს, რომელსაც მიკრობანკი განაგებს, უნდა გაუგზავნოს მოთხოვნათა ხასიათისა და თანხის შესახებ შეტყობინება. ამ შეტყობინებაში აღინიშნება ის, რომ კლიენტებს შეუძლიათ თავიანთი ფასეულობის მიღება და რომ მიკრობანკის ლიკვიდატორისთვის პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია აღნიშნული შეტყობინების მიღებიდან 1 თვის განმავლობაში;

გ) მიკრობანკის მსესხებლებსა და სხვა დებიტორებს უნდა მოსთხოვოს მიკრობანკის მიმართ არსებული ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადაში დაფარვა. მიკრობანკის აქტივების მაქსიმალურად ამოსაღებად მიკრობანკის ლიკვიდატორმა საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით უნდა მიაღწიოს იმ მსესხებლებისა და სხვა დებიტორების დავალიანებების რესტრუქტურიზაციას (მათ შორის, პირგასამტეხლოებისა და ჯარიმების პატიებას), რომლებსაც არ აქვთ დავალიანებების სახელშეკრულებო ვადაში სრულად დასაფარავად საკმარისი ფულადი სახსრები და მატერიალური საშუალებები.

9. მიკრობანკის ტერიტორიაზე შენახული ქონება, რომელიც შესაბამის ამონაწერში მითითებულ ვადაში გამოთხოვილი არ არის, მოუკითხავი ფულადი სახსრები და ქონება, რომლებიც შესაბამისი

ხელშეკრულების საფუძველზე მიკრობანკს ერიცხება, მოუკითხავ რესურსად მიიჩნევა და მესაკუთრის გამოსავლენად საქართველოს ეროვნული ბანკის მფლობელობაში გადადის. მოუკითხავი ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ მოუკითხავი თანხების ანგარიშზე ირიცხება.

10. მიკრობანკის ლიკვიდაციისას ფინანსური გირავნობის მოგირავნეს აქვს ფინანსური გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება. მიკრობანკის ლიკვიდაციისას სხვა მოთხოვნები შემდეგი თანამიმდევრობით უნდა დაკმაყოფილდეს:

ა) ლიკვიდაციის პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ხარჯები;

ბ) საქართველოს ეროვნული ბანკი, მათ შორის, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული თანხები;

გ) ლიკვიდაციის პერიოდში მიღებული სესხები;

დ) დაზღვეული დეპოზიტები „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით დაწესებული ანაზღაურებადი ოდენობის ზღვრის ფარგლებში ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მოთხოვნები, მათ შორის, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა;

ე) ფიზიკური პირების ანგარიშებზე არსებული თანხები;

ვ) იურიდიული პირების ანგარიშებზე არსებული თანხები;

ზ) საბიუჯეტო ვალდებულებები და დავალიანებები, მათ შორის, საგადასახადო გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნები;

თ) მიკრობანკის მიმართ დარჩენილი სხვა მოთხოვნები, გარდა ამ პუნქტის „ი“–„ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა;

ი) სასესხო ვალდებულება მიკრობანკის პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელების მიმართ, გარდა ამ პუნქტის „კ“–„ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა;

კ) სუბორდინირებული ვალი, რომელიც საზედამხედველო კაპიტალის ინსტრუმენტი არ არის;

ლ) ისეთი ვალდებულებები, რომელთა ჩამოწერა ან საზედამხედველო კაპიტალში კონვერტაცია განსაზღვრულია ხელშეკრულებით, გარდა ამ პუნქტის „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა;

მ) მეორადი კაპიტალის ინსტრუმენტები;

ნ) პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტები;

ო) სხვა ვალდებულებები მიკრობანკის პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელების მიმართ.

11. თუ არსებული თანხა ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ არის, ყველა სათანადო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შესაბამისი რიგის თითოეული კრედიტორის მოთხოვნის მოცულობის პროპორციულად.

12. მიკრობანკის კრედიტორთა ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნები დაკმაყოფილდება კრედიტორთა წინა რიგის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ.

13. მიკრობანკის მეანაბრის მიერ კუთვნილ ფულად სახსრებზე მოთხოვნის მიკრობანკის ლიკვიდატორის მიერ დადგენილ ვადაში წარუდგენლობისას ეს ფულადი სახსრები მესაკუთრის გამოსავლენად საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ მოუკითხავი თანხების ანგარიშზე ირიცხება.

14. მიკრობანკის ლიკვიდაციის პროცესის დროულად დასასრულებლად მიკრობანკის ლიკვიდატორი

უფლებამოსილია საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით მიკრობანკში არსებული ის ანგარიშები, რომელთა მიმართაც გამოყენებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი შეზღუდვები ან/და უზრუნველყოფის ღონისძიებები, ლიკვიდაციის პროცესში მყოფ მიკრობანკში აღნიშნული სამართლებრივი შეზღუდვების ან/და უზრუნველყოფის ღონისძიებების არსებული რიგითობის დაცვით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით, უცვლელად გადაიტანოს სხვა მიკრობანკში ან/და კომერციულ ბანკში ან/და საქართველოს ეროვნულ ბანკში.

15. იმ აქტივის ამოღების შემთხვევაში, რომელიც მიკრობანკის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე ამ მიკრობანკის აქტივი იყო, იგი ავტომატურად მიიჩნევა ლიკვიდირებული მიკრობანკის აქტივად და მისი განკარგვის უფლებას საქართველოს ეროვნული ბანკი იძენს. თუ ლიკვიდირებული მიკრობანკის ამოღებული აქტივი ფულადი სახსრებია, ისინი საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ ლიკვიდირებული მიკრობანკების მოუკითხავი თანხების ანგარიშზე უნდა გადაირიცხოს და მიკრობანკის ლიკვიდატორის მიერ საბოლოოდ წარდგენილი ვალდებულებების დაზუსტებული რიგითობის დაცვით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით უნდა განაწილდეს. მიკრობანკის არაფულადი მატერიალური აქტივის ამოღების შემთხვევაში მისი განკარგვისთვის საქართველოს ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლითაც განისაზღვრება ამოღებული არაფულადი მატერიალური აქტივის ლიკვიდირებული მიკრობანკის ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად განკარგვის წესი.

16. მიკრობანკის ლიკვიდაციის პროცესი დასრულებულად მიიჩნევა, თუ სრულადაა დაფარული მის მიმართ არსებული ყველა მოთხოვნა და დარჩენილი აქტივები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აქციონერებზეა განაწილებული.

17. თუ მიკრობანკს დაუფარავი ვალდებულებები ერიცხება, მაგრამ ამ ვალდებულებების დასაფარავად აქტივები აღარ აქვს, მისი ლიკვიდაციის პროცესი წყდება და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით იხსნება გაკოტრების საქმე.

18. საქართველოს ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მიკრობანკის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რომელიც წარედგინება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიკრობანკის ლიკვიდაციის რეგისტრაციისა და მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამოღების მიზნით.

**მუხლი 40. ურთიერთგაქვითვა და საბოლოო ურთიერთგაქვითვა**

„ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მხარეთა შორის დადებული ურთიერთგაქვითვის შეთანხმების საფუძველზე განხორციელებულ ურთიერთგაქვითვას ან საბოლოო ურთიერთგაქვითვას და მის შედეგად განხორციელებულ ოპერაციებს სადავოს ვერ გახდიან მესამე პირები, ადმინისტრაციული ორგანოები, მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოები, მიკრობანკის ლიკვიდატორი, მეურვე, გაკოტრების მმართველი/რეაბილიტაციის მმართველი, დროებითი ადმინისტრატორი, მსგავსი ფუნქციების შემსრულებელი ნებისმიერი სხვა პირი.

## თავი VIII. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

**მუხლი 41. გარდამავალი დებულებანი**

1. 2024 წლის 1 იანვრამდე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის

მისაღებად განაცხადის წარდგენის შემთხვევაში მას მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 2 წლისა არ უნდა ერიცხებოდეს დაგირავებული აქტივები, გარდა ლიკვიდურობის მხარდაჭერისთვის საჭირო საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ინსტრუმენტებისა. ამ პერიოდში მიკრობანკებს ლიკვიდურობის კოეფიციენტისთვის განსხვავებული ინდივიდუალური მოთხოვნა განესაზღვრებათ:

ა) იმ მიკრობანკს, რომლის დაგირავებული აქტივების სააქციო კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღების მომენტში 90 პროცენტზე მეტია, დეპოზიტების მოზიდვის უფლება არ ექნება;

ბ) იმ მიკრობანკს, რომლის დაგირავებული აქტივების სააქციო კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღების მომენტში 90 პროცენტზე ნაკლებია, დეპოზიტების მოზიდვის უფლება ექნება იმ პირობით, რომ დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი დეპოზიტების მოზიდვის უფლების მიღებიდან არაუგვიანეს 1 წლისა 50 პროცენტზე ნაკლები იქნება, ხოლო არაუგვიანეს 2 წლისა ნული გახდება.

2. 2024 წლის 1 იანვრამდე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად განაცხადის წარდგენისას მიკრობანკის საკრედიტო პორტფელის არანაკლებ 50 პროცენტისა უნდა შედგებოდეს სამეწარმეო მიზნით გაცემული სესხებისგან ან/და იმ სესხებისგან, რომელთა დაფარვის წყაროც სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალია, ხოლო მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 2 წლისა მიკრობანკი უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნებს.

3. საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტები გამოსცეს 2023 წლის 1 ივლისამდე.

მუხლი 42. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი–მე-40 მუხლებისა და 41-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი–მე-40 მუხლები და 41-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ამოქმედდეს 2023 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი                                        სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

22 თებერვალი 2023 წ.

N2602-XIმს-Xმპ